

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი



დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის პროექტი (SEP)

საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-
აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-საგარეჯო-
ბაკურციხის მონაკვეთის გაუმჯობესების პროექტი

დაკავშირებისა და ლოგისტიკის გაუმჯობესების პროექტი (CLIP)



თარიღი: ნოემბერი, 2021

სარჩევი

აკრონიმები

1.0	შესავალი / პროექტის აღწერა	4
1.1	შესავალი.....	Error! Bookmark not defined.
1.2	პროექტის მიმოხილვა.....	Error! Bookmark not defined.
1.3	დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის (SEP) მიზნები და ამოცანები.....	Error! Bookmark not defined.
2.0	რეგულაციები და მოთხოვნები	9
2.1	საქართველოს მოთხოვნები	Error! Bookmark not defined.
2.2	მსოფლიო ბანკის მოთხოვნები	Error! Bookmark not defined.
3.0	დაინტერესებული მხარეების ჩართულობის წინა და სამომავლო აქტივობების მოკლე მიმოხილვა.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
3.1	EIA (გარემოზე ზემოქმედების შეფასება) საჯარო განხილვა და საწყისი არაოფიციალური შეხვედრები	12
3.2	შეხვედრები თემთან დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მოსამზადებლად	Error! Bookmark not defined.
3.3	არაფორმალური კომუნიკაცია სახელმწიფო უწყებებთან.....	Error! Bookmark not defined.
3.4	კომუნიკაცია ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.....	Error! Bookmark not defined.
3.5	წინა პროექტებიდან მიღებული გამოცდილება	Error! Bookmark not defined.
3.6	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები (PAPs)	17
3.7	სხვა დაინტერესებული მხარეები (OIPs).....	19
3.8	სოციალურად დაუცველი / მოწყვლადი პირები ან ჯგუფები.....	21
3.9	პროექტით დაინტერესებულ პირთა ინტერესების შეჯამება და ზემოქმედება პროექტზე	Error! Bookmark not defined.
4.0	დაინტერესებულ პირთა ჩართულობის პროგრამა	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
4.1	დაინტერესებულ პირთა ჩართულობის დაგეგმილი ღონისძიებები.....	Error! Bookmark not defined.
4.2	დეტალები ჩართულობის გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ.....	Error! Bookmark not defined.
4.3	მოწყვლადი ჯგუფების მოსაზრებების გათვალისწინების შეთავაზებული სტრატეგია	Error! Bookmark not defined.
4.4	ინფორმაციის გამჟღავნება.....	Error! Bookmark not defined.

5.0	დაინტერესებულ პირთა ჩართულობის როლი, პასუხისმგებლობები და რესურსები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
5.1	განხორციელების ზომები	36
5.2	როლი და პასუხისმგებლობები	Error! Bookmark not defined.
5.3	სავარაუდო ბიუჯეტი	39
6.0	საჩივრების განხილვის და დაკმაყოფილების მექანიზმი	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
6.1	საჩივრების განხილვის პროცესი	Error! Bookmark not defined.
6.2	მუშახელის საჩივრების განხილვის მექანიზმი	48
6.3	სგდ-ს საკონტაქტო ინფორმაცია	Error! Bookmark not defined.
7.0	მონიტორინგი და ანგარიშგება	50
7.1	მონიტორინგის ანგარიშები მშენებლობის პროცესში	Error! Bookmark not defined.
7.2	მონიტორინგის ანგარიშები ექსპლუატაციის განმავლობაში	Error! Bookmark not defined.
7.3	დაინტერესებულ პირთა ჩართულობა მონიტორინგის საქმიანობებში	Error! Bookmark not defined.
7.4	ანგარიშგება დაინტერესებულ პირთა ჯგუფების წინაშე ..	Error! Bookmark not defined.
8.0	მითითებები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
დანართი 1: ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების და მოსახლეობის ჩამონათვალი		ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
დანართი 2: მოსახლეობასთან მომდევნო შეხვედრის დასწრების ფურცელი		ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
დანართი 4: საჩივრის წარდგენის ფორმა		ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.

აკრონიმები

აკრონიმი	განმარტება
AH	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახი
AP	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი
E&S	გარემოსდაცვითი და სოციალური გარემო
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESF	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ჩარჩო დოკუმენტი
ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESS	გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი
GRC	საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი
GRCRD	საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჩივრების განხილვის კომისია
GRM	საჩივრების განხილვის მექანიზმი
HH	შინამეურნეობა
IDP	იძულებით გადაადგილებული პირები
IFI	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი
KIMP	კახეთის ინტეგრირებული მობილობის პროექტი
KM	კილომეტრი
LRP	საარსებო საშუალების აღდგენის გეგმა
MEPA	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OHL	საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი
OIP	სხვა დაინტერესებული მხარეები
PAPs	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები
RAP	განსახლების სამოქმედო გეგმა
RD	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ)
ROW	განთვსების ზოლი
SEP	დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა
UNECE	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია
WB	მსოფლიო ბანკი

1.0. შესავალი/ პროექტის აღწერა

1.1 შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას (SEP), რომელიც მომზადდა და განხორციელდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - სგდ) მიერ, საქართველოს KIMP-ის (კახეთის ინტეგრირებული მობილობის პროექტის) მოსამზადებლად, რომელიც მოიცავს დაახლოებით 17.04 კილომეტრი ავტომაგისტრალის გაუმჯობესებას და მშენებლობას თბილისსა და ბაკურციხეს შორის (საგარეჯოს აღმოსავლეთიდან თოხლიაურამდე, ლოტი 3).

თბილისი-საგარეჯო-ბაკურციხე არის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის ნაწილი, რომელიც იწყება საგარეჯოს აღმოსავლეთ ნაწილში და მთავრდება ლაგოდეხის მახლობლად მდებარე საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან. გზის ეს მონაკვეთი კვეთს საგარეჯოსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს. არსებული გზისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების გაუმჯობესება მოითხოვს მოძრაობის, მათ შორის საშუალო ტოპოგრაფიულ და გეოლოგიურ პირობებში არსებული ხელოვნური ნაგებობების, გამტარუნარიანობის გაზრდას მოძრაობის ნაკადის შეფერხების გარეშე.

საქართველოს მთავრობამ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის მშენებლობისა და დაფინანსების წყაროების შესახებ: თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება, საგარეჯო-ბაკურციხის მონაკვეთი აშენდება მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, როგორც კახეთის ინტეგრირებული მობილობის პროექტის ნაწილი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი პასუხისმგებელი იქნება ავტომაგისტრალის გაუმჯობესებასა და მშენებლობაზე და მიწების შესყიდვაზე. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (შემდგომში - „დეპარტამენტი“) დაიქირავა კონტრაქტორი: AECOM Ltd. ILF CONSULTING ENGINEERS საბოლოო დეტალური პროექტის დასასრულებლად და ასევე დაიქირავებს კომპანიას მაგისტრალის მონაკვეთის ასაშენებლად. დეპარტამენტი ასევე დაიქირავებს კომპანიას ზედამხედველ ინჟინრად, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კონტრაქტორების პროექტებისა და მშენებლობის ზედამხედველობაზე.

1.2 პროექტის მიმოხილვა

1.2.1 პროექტის ტიპი და ადგილმდებარეობა

პროექტის ფარგლებში დაფინანსებული საავტომობილო გზის მონაკვეთი (საგარეჯოს აღმოსავლეთი – თოხლიაური, ლოტი 3) განხორციელდება განთვისების ზოლში, რომელიც გადაკვეთს ერთი მუნიციპალიტეტის (4 სოფელი) მიწებს, მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა შეადგენს 7 809 (აქედან 4,006 ქალი და 3 803 მამაკაცი):


ცხრილი 1: პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მუნიციპალიტეტები და სოფლები

მუნიციპალიტეტი	სოფლები	მოსახლეობა ¹
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	თოხლიაური	983
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	მანავი	2 769
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	კაკაბეთი	2 771
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	ბადიაური	1 286

მუნიციპალიტეტი მდებარებს აღმოსახლეთ საქართველოში.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მუნიციპალიტეტები და სოფლები დატანილია ქვევით რუკაზე

რუკა 1: პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მუნიციპალიტეტები და სოფლები



¹ მოსახლეობის საერთო რაოდენობა წარმოდგენილია 2014 წელს განხორციელებული ბოლო აღწერის მიხედვით

1.2.2 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედების მოკლე მიმოხილვა

შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე მომზადებული ან მომზადების პროცესში მყოფი საველე და კამერალური კვლევები იქნა გამოყენებული წინამდებარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) მომზადებისას:

ESIA (მომზადებულია შპს Eco-Spectri Consulting-ის მიერ EIB-ის დაფინანსებისთვის) და შემდგომ წარდგენილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის დასამტკიცებლად და საჯარო განხილვისთვის, როგორც „გზმ“. ESIA-ს მომზადება მოიცავდა საველე კვლევებს და კონსულტაციების სერიას, რომლებიც აღწერილია ქვემოთ.

განსახლების სამოქმედო გეგმის (გსგ) სოციალურ-ეკონომიკური აღწერა (მომზადებულია შპს AECOM-ის მიერ მსოფლიო ბანკისთვის და განახლებულია დეპარტამენტის მიერ), რომელიც მოიცავდა თემებთან გამართული ინდივიდუალური და კოლექტიური შეხვედრების მთელ რიგს, ასევე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების განსახლების ზემოქმედების აღწერას და სოციალურ-ეკონომიკურ კვლევას.

კახეთის ავტომაგისტრალის დერეფნის საგარეჯო-ბადიურის საავტომობილო გზის მონაკვეთის სოციალურ-ეკონომიკური კვლევის მომზადება და ადგილობრივი ბაზრის განვითარების შესაძლებლობების გაუმჯობესება (მომზადება დაიწყო დეპა კონსალტინგმა 2021 წლის ოქტომბერში). აღნიშნული კვლევა, რომელიც უნდა დასრულდეს 2021 წლის დეკემბერში, მოიცავს ფოკუს ჯგუფების დისკუსიებს და მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტთან გამართულ ძირითად ინტერვიუებს, რათა მოხდეს პროექტის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების და შესაძლებლობების იდენტიფიცირება ადგილობრივი განვითარების სარგებლის გაზრდის კუთხით. ეს კვლევა ასევე მოიცავდა თემებთან დისკუსიებს კომუნიკაციისა და უკუკავშირის სასურველ არხებსა და მექანიზმებზე, რათა მოხდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სტრატეგიების გამოყენება პროექტში.

პროექტის პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები, რომელიც გამოვლინდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში (ESIA) (Eco-Spectri Consulting Ltd. 2019-2020), შესაძლოა საჭიროებდეს განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობების ფარგლებში, მოიცავს:

- **მუდმივი, ასევე დროებითი პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედება** მიწათსარგებლობაზე, გზებზე მოვაჭრეებსა და ვენახებზე, აგრეთვე მიწაზე წვდომის დროებითი შეზღუდვა.
- **ეროზია და ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის დაკარგვა** მიწის გაწმენდისა და მცენარეული საფარის მოხსნის და/ან გათხრების გამო, ზემოქმედება გრუნტზე აფეთქების, მექანიზმების მუშაობის, კარიერების, ქვის სამტეხლოების ან სხვა სახის გათხრების და მიწის სამუშაოების გამო.
- **პოტენციური ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე** სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის გადაადგილების, მიწის სამუშაოების, ნაყოფიერი ნიადაგისა და გამონამუშევრების ღია ნაყარების, და კარიერების გამოყენების გამო.
- **სოციალური ზემოქმედება:** ზემოქმედება ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და სოფლის მეურნეობაზე, ასევე დროებითი ზემოქმედება მისასვლელ გზებზე

- სამშენებლო მანქანებით და ტექნიკით, ასევე მიწის სამუშაოებით გამოწვეული ხმაური, მტვერი, ნარჩენების წარმოქმნა და მოძრაობის შეფერხება.
- ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, რადგან პროექტი შეიცავს რისკებს ფრინველებისთვის, მათ შორის გადამფრენი ფრინველებისა და ძუძუმწოვრებისთვის
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებები გამოწვეულია დროებითი ობიექტების (ბანაკების), მანქანების გადაადგილების გამო.
- ფიზიკური ან ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა (დეპარტამენტის მიერ განთავსების ზოლის ფარგლებში სახლების, ქონების და მიწის ნაკვეთის შეძენის გამო; ასევე მოსავლის, ყურძნის, მრავალწლიანი ნარგავების, ღობეების შესაძლო დაკარგვა და შესაბამისი კომპენსაციისა და მიწის რეგისტრაციის პროცედურები
- ადგილობრივი შემოსავლის მიღება პროექტში ადგილობრივი თემებიდან მუშების დაქირავების გზით
- პროფესიული და საზოგადოებრივი ჯანდაცვა, უსაფრთხოებისა და უშიშროების ასპექტები მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე, პერსონალის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების რისკები შეიძლება დაკავშირებული იყოს ძირითადად პროგნოზირებად და გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან, როგორცაა:
 - სამუშაო ზონაში ჰაერის ხარისხის გაუარესება და ხმაურის დონის მატება გაუმართავი ატმოსფეროსისა და ტექნიკის გამო;
 - სასმელი წყლით ან საკვებით მოწამვლის რისკი;
 - პროფესიული დაზიანება (მოტეხილობები, ელექტრო დაზიანება და ა.შ.);
 - ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკები, მათ შორის, სპეციალური პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების გატარება COVID-19-ის გავრცელების წინააღმდეგ.

1.3 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) მიზანია ახსნას, თუ როგორ განხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროექტის განმავლობაში და რომელი მეთოდები იქნება გამოყენებული პროცესის ნაწილად; ასევე გამოიკვეთოს დეპარტამენტისა და კონტრაქტორების პასუხისმგებლობა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების განხორციელებაში.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის შესაბამისად (ESF), SEP-ში წარმოდგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უფრო ფართო მიზნები მდგომარეობს შემდეგში:

- დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის შემუშავდეს სისტემატური მიდგომა და დამყარდეს კონსტრუქციული ურთიერთობა მათთან, კერძოდ, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეებთან;
- შეფასდეს დაინტერესებული მხარეების დაინტერესებისა და მხარდაჭერის დონე პროექტის მიმართ და მიეცეს საშუალება, რომ დაინტერესებული მხარეების შეხედულებები გათვალისწინებული იქნას პროექტის შემუშავებაში და გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობების განხორციელებისას;

- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეებთან ეფექტური და ინკლუზიური ჩართულობის ხელშეწყობა და საშუალებების უზრუნველყოფა პროექტის სასიცოცლო ციკლის განმავლობაში იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გავლენა იქონიონ მათზე;
- უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შესახებ მიეწოდოს დაინტერესებულ მხარეებს დროულად, მათთვის გასაგებ, ხელმისაწვდომ და სათანადო ფორმატში და სახით.

მართალია, მოსალოდნელია, რომ პროექტი გამოიწვევს მცირე ფიზიკურ განსახლებას (2 შინამეურნეობა (HHs)) თავდაპირველი განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით), და ასევე მიწების შეძენას განთვისების ზოლში, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა აუცილებელია პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნას უწყვეტი თანამშრომლობა პროექტში ჩართულ პერსონალსა და ადგილობრივ თემებს შორის და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება.

2.0 კანონმდებლობა და მოთხოვნები

2.1 საქართველოს მოთხოვნები

2.1.1 საქართველოს კონსტიტუცია

„საქართველოს კონსტიტუცია მიღებული იქნა 1995 წელს და მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია პირდაპირ არ ეხება გარემოსდაცვით საკითხებს, ის ადგენს საკანონმდებლო ბაზას, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და საზოგადოების ხელმისაწვდომობას გარემო პირობებთან დაკავშირებით“ (SLR Consulting, 2018: 5). .

საქართველოს კონსტიტუციის 37 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად „ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. 37-ე მუხლის 5 პუნქტის თანახმად კი, „ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული და მიუკერძოებელი ინფორმაცია სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ.“

41-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს სახელმწიფოებრივ კონფიდენციალურ ინფორმაციას, ან კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას.“

2.1.2 გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცესში გამართული საჯარო განხილვები

„2000 წლის აპრილში საქართველომ მოახდინა ორპუსის კონვენციის რატიფიცირება. აღნიშნული UNECE (გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია) ეხება და არეგულირებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხებში გარემოსდაცვით სფეროში. აღნიშნული კონვენცია ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობის საჭიროების პრინციპს მდგრადი განვითარების მიზნით.“

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საჯარო კონსულტაციებს მხოლოდ იმ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ). ეს მოთხოვნები ცოტა ხნის წინ განახლდა და გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში (2017 წ.). ასევე ითვალისწინებს საჯარო კონსულტაციების წარმოების დეტალურ მოთხოვნებს და პროცედურებს, და ინფორმაციის გამჟღავნების და განხილვის დადგენილ ვადებს. საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებაზე ამჟამად პასუხისმგებლობა ეკისრება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA), ამ სახით მოითხოვება შემდეგი:

- სკოპინგის ანგარიში - პროექტის განმახორციელებლის მიერ მომზადებული წინასწარი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ESIA-სთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი

ინფორმაციის ჩამონათვალს. სკოპინგის ანგარიში ხელმისაწვდომია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლების ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფაზე და მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება ბეჭდური ან ელექტრონული ასლები. საზოგადოებას უფლება აქვს გამოქვეყნებიდან თხუთმეტი დღის ვადაში წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით. ამასთან, სამინისტრო ვალდებულია მოაწყოს საჯარო განხილვა სკოპინგის ანგარიშის გამოქვეყნებიდან არა უადრეს მე-10 სამუშაო დღისა და არაუგვიანეს მე-15 სამუშაო დღისა. საჯარო განხილვას უძღვება და საჯარო განხილვის შესახებ ოქმს ადგენს სამინისტროს წარმომადგენელი. საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

- გზმ-ს ანგარიში - სამინისტრომ წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა განათავსოს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლების ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების განცხადებების დაფაზე და მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს ბეჭდური ასლები. საზოგადოებას უფლება აქვს სამინისტროს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები გზმ-ის ანგარიშთან, დაგეგმილ საქმიანობასთან და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებთან დაკავშირებით განცხადების განთავსებიდან 40 დღის ვადაში. განთავსებიდან არაუადრეს 25-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სამინისტრო ატარებს გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას. საჯარო განხილვას უძღვება და საჯარო განხილვის შესახებ ოქმს ადგენს სამინისტროს წარმომადგენელი. საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება - საზოგადოებას უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ და უნდა მიეცეს წვდომა აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან. საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს აქვს უფლება, გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.” (SLR Consulting, 2018: 5).

2.2 მსოფლიო ბანკის მოთხოვნები

მსოფლიო ბანკის ESF-ის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი (ESS) 10, “დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება“, აღიარებს „მსესხებელსა და პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის ღია და გამჭვირვალე ჩართულობის მნიშვნელობას, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის აუცილებელ ელემენტს“ (მსოფლიო ბანკი, 2018 წ.). უფრო კონკრეტულად კი, ESS10-ით დადგენილი მოთხოვნები შემდეგია:

- მსესხებლები კავშირში იქნებიან დაინტერესებულ პირებთან პროექტის განხორციელების პროცესში, დაიწყებენ რა ჩართულობას შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე პროექტის

შემუშავების პროცესში და იმ ვადებში, რომ შესაძლებელი იყოს ნაყოფიერი კონსულტაციების წარმოება დაინტერესებულ პირებთან პროექტის განხორციელების გეგმის შესახებ. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხასიათი, მასშტაბი და სიხშირე პროპორციული იქნება პროექტის ხასიათისა და მასშტაბის, და მისი პოტენციური რისკებისა და ზემოქმედების მიმართ.

- მსესხებლები ჩართებიან მნიშვნელოვან კონსულტაციებში ყველა დაინტერესებულ მხარესთან. მსესხებლები მიაწვდიან დაინტერესებულ მხარეებს დროულ, შესაბამის, გასაგებ და ხელმისაწვდომ ინფორმაციას და კონსულტაციას გაუწევენ მათ ადგილობრივი კულტურისთვის მისაღები წესით, მანიპულირების, ჩარევის, იძულების, დისკრიმინაციისა და დაშინების გარეშე.
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესი მოიცავს შემდეგს, როგორც ეს უფრო დეტალურად არის ასახული ამ ESS-ში: (i) დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი; (ii) დაგეგმვა, თუ როგორ განხორციელდება ჩართულობა დაინტერესებულ მხარეებთან; (iii) ინფორმაციის გამჟღავნება; (iv) კონსულტაცია დაინტერესებულ მხარეებთან; (v) საჩივრების განხილვა და მათზე რეაგირება; და (vi) ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეებთან.
- მსესხებელი, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში, აწარმოებს და გამოაქვეყნებს დაინტერესებულ პირთა ჩართულობის დოკუმენტირებულ ჩანაწერს, მათ შორის იმ დაინტერესებული პირების აღწერას, რომელმაც გაიარა კონსულტაცია, უკუკავშირის მოკლე რეზიუმეს და მოკლე ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული უკუკავშირი, ან მიეზებს, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული.” (მსოფლიო ბანკი, 2017: 98).

მსესხებელმა უნდა შეიმუშაოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა, რომელიც პროპორციული იქნება პროექტის ხასიათისა და მასშტაბისა და მისი პოტენციური რისკებისა და ზემოქმედების მიმართ. ის საჯარო უნდა გახდეს ადრეულ ეტაპზე, პროექტის შეფასებამდე და მსესხებელი უნდა გაეცნოს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს SEP-ის შესახებ, მათ შორის დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისა და მომავალი ჩართულობის წინადადებების შესახებ. თუ SEP-ში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდება, მსესხებელმა უნდა გამოაქვეყნოს განახლებული SEP (მსოფლიო ბანკი, 2017: 99). ESS10-ის მიხედვით, მსესხებელმა ასევე უნდა შესთავაზოს და განახორციელოს საჩივრების განხილვის მექანიზმი, რათა დროულად მოხდეს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საჩივრებისა და უკმაყოფილების მიღება და გადაჭრა. (მსოფლიო ბანკი, 2017: 100).

3.0 დაინტერესებული მხარეების ჩართულობის წინა და სამომავლო აქტივობების მოკლე მიმოხილვა

საავტომობილო გზების დეპარტამენტი ჩართულია პროექტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებში 2020 წლის დასაწყისიდან, რომელიც ემთხვევა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) მომზადების ფაზას.

ESIA მომზადდა შპს Eco-Spectri Consulting-ის მიერ. დოკუმენტის ქართული ვერსია ასევე წარდგენილი იყო MEPA-ში განსახილველად და კონსულტაციისთვის საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად. საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის კოდექსის თანახმად, მთავრობისათვის დასამტკიცებლად და საჯარო განხილვისთვის წარდგენილ დოკუმენტს ეწოდება „გზმ“. დღემდე განხორციელდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ოთხი ძირითადი შეხვედრა:

- სკოპინგისა და ESIA (გზმ) ანგარიშების საჯარო განხილვა და საწყისი არაფორმალური შეხვედრები (2020 წლის იანვარი და 2021 წლის ივნისი);
- შეხვედრა თემთან დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის მოსამზადებლად და სისრულეში მოსაყვანად (ზოგი ინდივიდუალური შეხვედრა ჩატარდა 2021 წლის მაისში, ჩატარდება 2021 წლის ბოლომდე);
- არაფორმალური კომუნიკაცია სამთავრობო უწყებებთან (2020-2021 წლების განმავლობაში); და
- ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია (ჩატარდება 2021 წლის ბოლომდე).
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გუნდის შეხვედრა განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებისა და გასაჯაროების დროს (ივნისი 2020-2021 წლის ბოლომდე)

3.1 გზმ-ს საჯარო განხილვები და საწყისი არაფორმალური შეხვედრები

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების ფარგლებში, 2020 წლის ბოლოს, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (შემდგომში - „სგდ“ ან „დეპარტამენტი“) დაიწყო დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და არაფორმალური ჩართვა სკოპინგის ანგარიშისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების² მომზადების პროცესში. 2020 წლის 4-5 თებერვალს და 2021 წლის 14-16 ივნისს, MEPA-მ (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტში საჯარო განხილვები გამართა.

საერთო ჯამში, საჯარო განხილვას 100-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. მათ შორის იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების და მოსახლეობის წარმომადგენლები. შეხვედრებს უძღვებოდა გზების დეპარტამენტის გარემოსდაცვითი სპეციალისტი, ასევე ჩართული იყო დეპარტამენტის სოციალური საკითხების სპეციალისტი. შეხვედრების დროს მონაწილეები ძირითადად დაინტერესდნენ პროექტის დეტალებით: მარშრუტი, კომპენსაციის კრიტერიუმები და დასაქმების შესაძლებლობები. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მიაწოდეს შესაბამისი ხელმისაწვდომი ინფორმაცია და აღნიშნეს, რომ საჭიროა შემდგომი კვლევების ჩატარება დეტალური პროექტის, განსახლებისა და შეფასების საკითხებისთვის. წარმომადგენლებმა ასევე აცნობეს მონაწილეებს, რომ პროექტს ეყოლება პროექტის მენეჯერი, რათა მან მოახდინოს დამატებითი ინფორმაციის გავრცელება. ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია ამ საჯარო განხილვების გამართვის ადგილი, თარიღი და დასწრება (სქესის მიხედვით), ისევე როგორც ძირითადი საკითხები, რომლებიც წამოჭრილი იქნა დისკუსიების ფარგლებში.

² როგორც ზემოთ აღინიშნა, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად განსახილველად და კონსულტაციისთვის წარდგენილ დოკუმენტს ეწოდა „გარემოზე ზემოქმედების შეფასება“ (გზმ). იგივე დოკუმენტი შერჩეული განახლებებით წარმოადგენს პროექტის ESIA-ს საფუძველს, რომელიც დამტკიცებულ და განხილულ უნდა იქნას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტისთვის.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დღემდე გამართული საჯარო განხილვები საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჩართულობით

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების ჩატარება, როგორც ადმინისტრაციული წარმოების ნაწილი:

- 2020 წლის 4 თებერვალი 11:00 საათი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გიორგიწმინდის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა;
- 2020 წლის 4 თებერვალი 13:00 საათი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ბადიაურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა;
- 2020 წლის 4 თებერვალი 15:00 საათი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთის გამგეობის შენობა;
- 2020 წლის 5 თებერვალი 11:00 საათი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაკურციხის კულტურის სახლის შენობა;
- 2020 წლის 5 თებერვალი 13:00 საათი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩალაუბნის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა;
- 2020 წლის 5 თებერვალი 15:00 საათი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. მელაანის საჯარო სკოლა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყო ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ანგარიშის საჯარო განხილვების ჩატარება, როგორც ადმინისტრაციული წარმოების ნაწილი:

- 2021 წლის 14 ივნისი 12:00 საათი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გიორგიწმინდის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა;
- 2021 წლის 14 ივნისი 14:00 საათი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ბადიაურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა;
- 2021 წლის 15 ივნისი 15:00 საათი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთის გამგეობის შენობა;
- 2021 წლის 15 ივნისი 11:00 საათი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაკურციხის კულტურის სახლის შენობა;
- 2021 წლის 16 ივნისი 12:00 საათი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩალაუბნის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა;
- 2021 წლის 16 ივნისი 15:00 საათი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. მელაანის საჯარო სკოლა.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ანგარიშის გარდა, პროექტისთვის მომზადდა განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP). Covid-19-ის პანდემიის შეზღუდვების გათვალისწინებით, განსახლების სამოქმედო გეგმისთვის საჯარო კონსულტაციის პროცესი განსხვავებულად ჩატარდა, კერძოდ: მიწის შესყიდვისა და განსახლების კვლევის დროს ინდივიდუალური კონტაქტების მეშვეობით (2020 წლის ივნისი - 2021 წლის მაისი). აღწერა და საველე კვლევები ჩატარდა განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში. პროექტის ზემოქმედების შესახებ კონსულტაცია და ინფორმაცია უზრუნველყოფილი იქნა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თითოეული ოჯახისათვის და მოწყვლადი პირებისთვის (14 მოწყვლადი ოჯახი იქნა გამოვლენილი საველე კვლევების დროს), საინფორმაციო ბუკლეტები

ქართულ ენაზე დაურიგდა შინამეურნეობებს (შინამეურნეობებს მოწყვლადი ოჯახის წევრების ჩათვლით).

ერთობლივი საჯარო განხილვები არ ჩატარებულა COVID-19-თან დაკავშირებული პანდემიისა და მთავრობის მიერ დაწესებული კარანტინის გამო (2020 წლის 31 მარტი), რომელიც კრძალავს საჯარო შეხვედრებს. მსოფლიო ბანკის მიერ RAP-ის დამტკიცების შემდეგ ასევე ჩატარდება დამატებითი ინდივიდუალური და მცირე ჯგუფების კონსულტაციები.

ცხრილი 2: საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადების ფარგლებში გამართული კონსულტაციები

დაინტერესებული მხარეები	მიზანი	მეთოდი
სავარაუდო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები და მათი საზოგადოება	<ul style="list-style-type: none"> • ზემოქმედების ქვეშ მოქცეულები ადანიანების ინფორმირება, მათი მოსაზრებების მიღება სავარაუდო ზემოქმედებაზე, უფლებამოსილებაზე, აგრეთვე კომპენსაციის, ადგილმონაცვლეობისა და რეაბილიტაციის პროცედურებისა და მოწყვლადი შინამეურნეობებისათვის დამატებითი დახმარების შესახებ. 	ინდივიდუალური შეხვედრები ყველა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოჯახთან, მათ შორის შინამეურნეობებთან, რომელთაც ჰყავთ მოწყვლადი ოჯახის წევრები, სოციალურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელების დროს.
საავტომობილო გზების დეპარტამენტის (RDMRDI) სხვა სამსახურები, მათ შორის განსახლების სამმართველო	<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციის მოგროვება მთავრობის პოლიტიკის შესახებ, პროექტის პრიორიტეტების განსაზღვრა და რეკომენდაციების მიღება სამუშაოების თაობაზე 	<ul style="list-style-type: none"> • ხშირი ინდივიდუალური შეხვედრები RDMRDI-ის წარმომადგენლებთან
იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	<ul style="list-style-type: none"> • საკადასტრო რუკის შეგროვება და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე და ადამიანებზე მეტი დეტალების გაგება 	<ul style="list-style-type: none"> • კონსულტაციები და დისკუსია ოფიციალურ პირებთან
ადგილობრივი თვითმმართველობა რაიონულ დონეზე (რაიონის მუნიციპალიტეტი), რწუნებული	<ul style="list-style-type: none"> • მათთან თანამშრომლობა ზემოქმედების შეფასების კვლევის ჩასატარებლად და გამორჩენილ ნაკვეთებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრა (დაკანონებადი მფლობელები) 	<ul style="list-style-type: none"> • ინდივიდუალური შეხვედრები და განხილვები შესაბამისი რაიონის ოფიციალურ პირებთან •
საკუთრების უფლების აღიარების კომისია რაიონის და საკრებულოს	<ul style="list-style-type: none"> • მათთან თანამშრომლობა ზემოქმედების შეფასების კვლევის ჩასატარებლად და გამორჩენილ ნაკვეთებთან 	<ul style="list-style-type: none"> • შეხვედრა და ტრენინგი

დაინტერესებული მხარეები	მიზანი	მეთოდი
დონეზე	დაკავშირებული პრობლემის გადაჭრა (დაკანონებადი მფლობელები)	

3.2 შეხვედრები თემთან დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის გეგმის მოსამზადებლად

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ბანკი განიხილავს და დაამტკიცებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) პროექტს, ჩატარდება ინდივიდუალური და მცირე ჯგუფების შეხვედრები მარშრუტის გასწვრივ მდებარე რამოდენიმე სოფელში. კონსულტაციები ჩატარდება 2021 წლის ნოემბრიდან-დეკემბრამდე პერიოდში. სგდ გეგმავს რამდენიმე მცირე ჯგუფის შეხვედრების ორგანიზებას ასევე მშენებლობის დაწყებამდე (2022 წლის ოქტომბერი). თემთან შეხვედრების მთავარი თემა აქამდე იყო ინფორმაციის გაზიარება, ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაცია და მათი საჭიროებებისა და ინტერესების და საინფორმაციო ხარვეზების იდენტიფიცირება.

3.3 არაფორმალური კომუნიკაცია სამთავრობო უწყებებთან

2021 წლის 14-16 ივნისს, სგდ-მ და კონსულტანტმა, რომელიც პასუხისმგებელია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) მომზადებაზე, გამართა შეხვედრა ჯგუფის მონაწილეებთან, რომელიც მოიცავდა ყველა შესაბამის სამთავრობო უწყებას. შეხვედრის მიზანი იყო მონაწილეებისთვის მომავალი პროექტის დეტალების გაცნობა და კომუნიკაციის (Covid-19 პანდემიის შეზღუდვების გათვალისწინებით) და კოორდინაციის სასურველი მექანიზმების იდენტიფიცირება, საჭიროებიდან გამომდინარე.

2020 წლის ივლისსა და 2021 წლის ივნისში, სგდ-ს წარმომადგენლებმა ჩატარეს შეხვედრა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ გურჯაანის მუნიციპალიტეტში. სგდ-ს წარმომადგენლებმა განმარტეს პროექტის ფარგლები, განთვინების ზოლის დეფინიცია, გსგ-ს საკომპენსაციო პაკეტის ზოგადი პრინციპები, ასევე ავტომაგისტრალის მშენებლობის შედეგად ჯანმრთელობაზე, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მიყენებული ზემოქმედება.

3.4 საპროექტო ზონაში მოქმედ არასამთავრობო და ბიზნეს ორგანიზაციებთან კომუნიკაცია

სგდ ცდილობდა მოეძებნა არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი ბიზნეს ორგანიზაციები (მაგალითად, ღვინის, ყველის მწარმოებლები და ა.შ.), რომლებიც ოპერირებდნენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ზონაში. ასეთი ჩართულობის მთავარი აქცენტი არის ამ

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საწარმოების უკუკავშირის შეგროვება შემოთავაზებულ პროექტზე, მათი ინტერესისა და დეპარტამენტთან თანამშრომლობის სურვილის შეფასება, მაგალითად, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება პროექტის ან პროექტის კონკრეტული ასპექტების შესახებ, გენდერული ძალადობის საკითხებზე და სგდ-ს მხარდაჭერა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიებზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეებისთვის შესაძლო პროექტების განხორციელებაში.

სგდ-მ გამოავლინა არასამთავრობო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინასწარი სია. (წინასწარი სია წარმოდგენილია ქვემოთ, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების/ორგანიზაციების რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს/გაიზარდოს); შემდეგი ვებგვერდის დახმარებით მოხდა ამ კონკრეტულ რეგიონში, კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის გამოვლენა: <http://www.cso.ge/ngo.php/region=7&sfero=0&key;>

2011 წლიდან სამოქალაქო საზოგადოების პორტალი (CSO.GE) აწვდის ინფორმაციას, როგორც არამომგებიან იურიდიულ პირებს, ასევე სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობით დაინტერესებული სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფსა და მოქალაქეებს. ერთ სივრცეში პორტალის ვიზიტორებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოების სიახლეების, განცხადებებისა და კონკურსების, ანონსების, კვლევებისა და ანგარიშების, ტრენინგებისა და კონფერენციების შესახებ. ასევე, აქვია განთავსებული არამომგებიანი ორგანიზაციების, ექსპერტების, პროექტებისა და პლატფორმების საინფორმაციო ბაზები, მრავალმხრივი ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის შესახებ და თემატური გამოკითხვები. პორტალის მნიშვნელოვანი სეგმენტია ეთიკის ველი, სადაც განთავსებულია არამომგებიანი ორგანიზაციების გამჭვირვალობის ელექტრონული პლათფორმა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ამჟამად მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩამოთვლილია ცხრილი N3-ში:

ცხრილი 3: რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩამონათვალი

ორგანიზაციის დასახელება	საქმიანობის სფერო
სამოქალაქო საზოგადოების განვი თარების ასოციაცია „სპექტრი“	ადამიანის უფლებების დაცვა და პოპულარიზაცია; სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა; მოწყვლადი ჯგუფების ადვოკატირება; გენდერული თანასწორობის და ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა
სამოქალაქო აქტივობების ცენტრი	საქმიანობის სფერო: ადამიანის უფლებების დაცვა და პოპულარიზაცია; სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა; მოწყვლადი ჯგუფების ადვოკატირება; გენდერული თანასწორობის და ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა
ახალგაზრდები მომავლისათვის ბედნიერი	ახალგაზრდების გააქტიურება, მათი მაქსიმალური ჩართვა საზოგადოებრივ საქმიანობაში; სხვადასხვა მასტიმულირებელი თუ შემეცნებითი ღონისძიებების

	ჩატარება; სხვადასხვა სახის დაავადების მქონე პირებისა და გაჭირვებული პირების დახმარება
კავშირი "ვეჟინი"	ქალთა უფლებები და საერთაშორისო სტანდარტები; თემის განვითარება; ახალგაზრდული აქტივობა

სგდ გააგრძელებს ადგილობრივი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და მათთან დაკავშირებას პოტენციური სამომავლო თანამშრომლობისთვის.

3.5 წინა პროექტებიდან მიღებული გამოცდილება

რამდენიმე ძირითადი გაკვეთილი იქნა მიღებული E-60 ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტის წინა გამოცდილებიდან, რომლის მონაკვეთების ნაწილის მშენებლობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს (F0 და F1 მონაკვეთები) და ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტის (EWHCIP) და EWHCIP დამატებითი დაფინანსების პროექტების ფარგლებში. პროექტის განხორციელებისას ცხადი გახდა, რომ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს აქვს პრეტენზია არაპირდაპირი სოციალური ზემოქმედების გამო, კერძოდ საერთო სამოვრების დაკარგვის გამო. სგდ-მ ჩაატარა მრავალი საჯარო კონსულტაცია და შეიმუშავა საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა (LRP) სოფელ აგარებისთვის. გარდა ამისა, EWHCIP AF-ის ფარგლებში (ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთი) ჩატარდა გარე მოვაჭრეების სპეციალური კვლევა და სპეციალური საკომპენსაციო პაკეტი გათვალისწინებული იყო გსგ-ში და უკვე გადახდილია მათთვის.

სგდ ახალ პროექტში გაითვალისწინებს წარსული და მიმდინარე პროექტებიდან მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. სგდ გეგმავს – (i) დანიშნოს მენეჯერი კონკრეტულ პროექტზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას პირდაპირი კომუნიკაცია მოსახლეობას, კონტრაქტორსა და სახედამხედველო გუნდს შორის, ასევე დეპარტამენტში, სხვადასხვა სამსახურებში; (ii) დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების ჩართულობის გაზრდა მთელი რიგი აქტივობებით, რომლებიც ჩამოთვლილია ამ SEP-ში; (iii) ჩაატაროს მეტი ცნობიერების ამაღლების სესიები მცირე შეხვედრების მეშვეობით გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე; და (iv) გააძლიეროს და გააფართოვოს არსებული საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) თემებსა და სამშენებლო კომპანიებში, წარდგენილი საჩივრების კოორდინაციის გაუმჯობესებული მონიტორინგით და საჩივრების კონსოლიდირებული ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნით.

3.6 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები (PAPs)

დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის მიზნებისთვის, ტერმინი “პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები” მოიცავს “მხარეებს, რომლებიც შესაძლოა მოექცნენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მათ ფიზიკურ გარემოზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, კულტურულ

ნორმებზე, კეთილდღეობაზე ან საარსებო გარემოზე ფაქტობრივი ზემოქმედებების ან პოტენციური რისკების გამო. დაინტერესებულ პირთა შემადგენლობაში შესაძლოა შევიდნენ ფიზიკური პირები ან ჯგუფები, მათ შორის ადგილობრივი თემები“ (მსოფლიო ბანკი, 2018b). ესენი არიან ფიზიკური პირები ან ოჯახები, რომლებიც დიდი ალბათობით განიცდიან ცვლილებას პროექტიდან გამომდინარე ბუნებრივ და სოციალური გარემოზე ზემოქმედების გამო.

ტერმინი “სხვა დაინტერესებული მხარეები” (OIPs) მოიცავს “ფიზიკურ პირებს, ჯგუფებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროექტით, პროექტის ადგილმდებარეობის, მისი მახასიათებლების, მისი ზემოქმედებების, ან საზოგადოებრივ ინტერესთან დაკავშირებული საკითხების გამო. მაგალითად, ასეთ მხარეებში შესაძლოა შედიოდნენ მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო მოხელეები, კერძო სექტორი, მეცნიერთა წრე, აკადემიკოსები, კავშირები, ქალთა ორგანიზაციები, სხვა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კულტურული ჯგუფები” (მსოფლიო ბანკი, 2018b).

3.6.1. მიწების შესყიდვის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები

მიმდინარე პროექტის ფარგლებში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ძირითად კატეგორიაში შედიან ადამიანები, რომლებიც კარგავენ აქტივებს და/ან კერძო მიწას, სახლს, ბიზნესს და/ან საერთო რესურსებზე წვდომას პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული მიწის ათვისების გამო.

აღწერისა და დანაკარგების ინვენტარიზაციის მონაცემებით, აღნიშნული გზის მონაკვეთის მშენებლობის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 626 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 1,065,976 კვ.მ. აღნიშნული 626 მიწის ნაკვეთიდან, 13 ნაკვეთი (33 132 კვმ) სახელმწიფო საკუთრებაშია (არ გამოიყენება კერძო მოსარგებლეების მიერ) და 47 ეკუთვნის სახელმწიფო კომპანია- სს „საქართველოს რკინიგზას“, 381 მიწის ნაკვეთი (626 964 კვ.მ) კერძო საკუთრებაშია რეგისტრირებული, 185 ნაკვეთი ლეგალიზებადია და არცერთი ნაკვეთი არ გამოიყენება არაკანონიერი მოსარგებლის მიერ (არალეგალიზებადი ნაკვეთები).

ადამიანებს მიწის საფასური გადაეცემათ საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად.

ადამიანები, რომლებიც ფლობენ ან სარგებლობენ განთვისების ზოლში არსებული მიწის ნაკვეთებით, მიიჩნევიან მაღალი პრიორიტეტის მქონე დაინტერესებული მხარეების ჯგუფად, რომლებიც საჭიროებენ აქტიურ და რეგულარულ ჩართულობას, ასევე ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას, განსაკუთრებით კომპენსაციისა და საარსებო წყაროს აღდგენის გეგმის შესახებ.

3.6.2. საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები

მიმდინარე პროექტის ფარგლებში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მეორე ძირითადი კატეგორიაში შედიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ არსებული გზის გაწვრივ. ამ კატეგორიის ადამიანებზე სავარაუდოდ ზემოქმედებას მოახდენს სამშენებლო სამუშაოები, როგორცაა დიდი ტვირთამწეობის ავტომობილების მოძრაობის შედეგად გამოწვეული დისკომფორტი, წვდომის შეზღუდვა და ა.შ., მაგრამ ასევე შეიძლება ისარგებლონ პროექტთან დაკავშირებული დასაქმების შესაძლებლობებით. გრძელვადიან პერსპექტივაში ამ პირებმა, ოჯახებმა და ბიზნესის მფლობელებმა შეიძლება ასევე განიცადონ გარკვეული ეკონომიკური ზარალი საავტომობილო მოძრაობის

გადართვის შედეგად. პროექტი ითვალისწინებს კვლევას და თანხებს ამ მიმართულებით, რათა მოხდეს უარყოფითი ეკონომიკური ზემოქმედების კომპენსირება ახალი მაგისტრალის გასწვრივ დამატებითი და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების უზრუნველყოფის გზით.

3.6.3. მუნიციპალიტეტისა და სოფლის წარმომადგენლები

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მესამე მნიშვნელოვან კატეგორიაში შედიან მუნიციპალიტეტისა და სოფლის წარმომადგენლები (სოფლების საერთო მოსახლეობა). თითოეულ მუნიციპალიტეტს ჰყავს მერი, საკრებულო თავმჯდომარით და თითოეულ სოფელში არის მერის და გამგებლის რწმუნებულები. ყველა სოფელს აქვს სოფლის წარმომადგენლობითი შენობა, სადაც დასაქმებულია 6 ადამიანი (დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან); ესენია: სოფლის გამგებელი, სოფლის რწმუნებული, მოადგილე, კულტურის სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მენეჯერი.

3.7 სხვა დაინტერესებული მხარეები (OIPs)

3.7.1 სხვა დაინტერესებული მხარეები – გარე

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია სხვა დაინტერესებულ მხარეთა ძირითადი კატეგორიები და პროექტში მათი დაინტერესების შესაბამისი დასაბუთება.

ცხრილი 3: სხვა დაინტერესებული მხარეები - გარე

სხვა დაინტერესებული მხარეები	დაინტერესება პროექტის მიმართ
<p>სამინისტროები და სამთავრობო უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ადრე ეკონომიკის სამინისტრო), ფინანსთა სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 	<p>მთლიანობაში: მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს პროექტის შესაბამისობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობასთან (მაგ. ენერგეტიკული პოლიტიკა, გარემოსდაცვითი საქმიანობა).</p> <ul style="list-style-type: none"> ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა კონკრეტული ჩართულობა პროექტთან დაკავშირებულ შემარბილებელ ღონისძიებებში ადგილობრივი საქართველოს გზშ-ს სკოპინგის ანგარიშის, გზშ-ს ანგარიშის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საჯარო განხილვაში ჩართულობა პროექტის ფარგლებში საჭირო მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია

<ul style="list-style-type: none"> საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო 	<ul style="list-style-type: none"> პასუხისმგებელია პოტენციური არქეოლოგიური ინტერესის ობიექტებზე, რომლებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს პროექტმა და ეროვნული ინტერესის ძეგლებზე პროექტის სიახლოვეს
<p>ადგილობრივი ხელისუფლების დეპარტამენტები</p> <p>მუნიციპალიტეტები და სოფლები</p>	<p>პროექტის ტერიტორიაზე მცხოვრებთა უფლებების დაცვა წარმოადგენენ ადგილობრივ თემებს/პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს; იღებს და აგზავნის ნებისმიერ ინფორმაციას და საჩივარს მათგან.</p>
<p>არასამთავრობო ორგანიზაციები (ადგილობრივი, ეროვნული, რეგიონალური,</p>	<p>უზრუნველყოფენ, რომ პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შესრულების მაჩვენებლები იცავდეს გარემოს და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს და შეესაბამებოდეს საერთაშორისო გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს</p>
<p>ბიზნეს ორგანიზაცია და შრომის ორგანიზაცია</p>	<p>დაინტერესება შესყიდვებისა და მიწოდების ჯაჭვის მიმართ, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედებების, ასევე საზოგადოების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოების მიმართ</p>
<p>პროექტის სხვა ორგანიზატორები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან პროექტზე ან მის მახლობლად (მაგ. მომიჯნავე ობიექტები) და მათი ფინანსისტები (მაგ. ADB, EBRD, KfW, IFC)</p>	<p>შეიძლება მოითხოვონ პროექტის ფუნქციონირება, რათა შესაძლებელი გახდეს ენერჯის ექსპორტი.</p> <p>შეიძლება დაეხმარონ სხვა შემოთავაზებულ განვითარებასთან ურთიერთქმედებებისა და კუმულაციური ზემოქმედების იდენტიფიცირებას</p>
<p>პრესა და მედია</p>	<p>საპროექტი ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისა და ფართო საზოგადოების ინფორმირება პროექტის განხორციელების და დაგეგმილი აქტივობების შესახებ</p>

ფართო საზოგადოება, ტურისტები, სამუშაოს მაძიებლები	დაინტერესება პროექტის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედების მიმართ, როგორც უარყოფითი, ასევე სასარგებლო
აკადემიური დაწესებულებები (მაგ. უნივერსიტეტები, ანალიტიკური ცენტრი, სკოლები)	პოტენციური საკითხები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ. პოტენციური საგანმანათლებლო/პროპაგანდული შესაძლებლობები პროექტის ცნობადობისა და მიმდებლობის გაზრდის მიზნით

3.7.2 სხვა დაინტერესებული მხარეები – შიდა

პროექტში მონაწილე შიდა დაინტერესებული მხარეებში იგულისხმება საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლები, ზედამხედველი კონსულტანტები; კონტრაქტორები; ქვეკონტრაქტორები; მომსახურების მიმწოდებლები, მომწოდებლები და მათი მუშები.

3.8 დაუცველი / მოწყვლადი ფიზიკური პირები ან ჯგუფები

დაუცველი / მოწყვლადი ფიზიკური პირები ან ჯგუფები არიან პოტენციურად დისპროპორციულად ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები და ნაკლები შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ პროექტით შეთავაზებული შესაძლებლობები პროექტის და მისი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებების და შერბილების სტატეგიების შესახებ ინფორმაციის გაგების ან ასეთ ინფორმაციაზე წვდომის კონკრეტული სირთულეების გამო.

საპროექტო ტერიტორია მოიცავს ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც კლასიფიცირდება მოწყვლადად. კახეთის რეგიონში არ არის იძულებით გადაადგილებული პირების (დევნილების) მაღალი კონცენტრაცია, რომლებიც გადასახლებულნი არიან მიმდებარე სეპარატისტული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან ან სამაჩაბლოდან. დამატებით საპროექტო ტერიტორიაზე დაუცველი / მოწყვლადი პირების ან ჯგუფების შემადგენლობაში შედიან:

- ისინი, ვინც აღრიცხულია ღარიბად და აქვთ ადგილობრივი სოციალური მომსახურებები;
- ოჯახები, რომლებსაც უძღვებიან ქალები; ოჯახები, რომლებსაც უძღვებიან მოხუცები (\geq საპენსიო ასაკი), ასაკოვანი წყვილი ან პირები, რომლებიც ცხოვრობენ მარტო; გონებრივი და ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- ოჯახები, რომლებსაც უძღვებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და არ ჰყავთ შემოსავლის შემომტანი სხვა წევრი ოჯახში; ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობები (აზერბაიჯანული სოფელი);

მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური კვლევის მიხედვით საპროექტო ტერიტორიებზე იმყოფებიან ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, კერძოდ, ერთი სოფელი დასახლებულია აზერბაიჯანელებით და მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

თუ პროექტის განხორციელების დროს გამოვლინდება ენობრივი ან სხვა პრობლემები დაუცველ ჯგუფებთან/დაუცველ პირებთან, მათთვის შემოთავაზებული იქნება ჩართულობის მოსახერხებელი ფორმები: დაბეჭდილი ინფორმაცია პროექტის აქტივობების შესახებ; მცირე ჯგუფების კონსულტაციები, მათ შორის ცალკე კონსულტაციები ქალებთან და ა.შ.

მოწყვლადი ჯგუფებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შემცირების მიზნით, სგდ საჭიროებისამებრ გაუწევს სპეციალურ დახმარებას, რათა უზრუნველყოს ამ ადამიანების ჩართვა საჯარო კონსულტაციების პროცესში და მათთვის ყველა საჭირო ინფორმაციის გამჟღავნება.

თუ პროექტის განხორციელების პერიოდში გამოვლინდება სხვა ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები, დაინტერესებული მხარეები და მცირე ჯგუფები, რომლებსაც ექნებათ განსხვავებული მოლოდინები, მათი საჭიროებები ასევე განიხილება და აისახება SEP დოკუმენტში.

3.9 პროექტით დაინტერესებულ პირთა ინტერესის და ზემოქმედების შეჯამება პროექტზე

ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია პროექტით დაინტერესების დონე და პოტენციური ზემოქმედება პროექტზე ზემოთ განსაზღვრული სხვადასხვა კატეგორიის დაინტერესებული პირების მხრიდან. კატეგორიები, რომელიც წარმოდგენილია წითელი ფერის კოდით, მოითხოვს რეგულარულ და ხშირ ჩართულობას, როგორც წესი, პირისპირ და რამდენჯერმე წელიწადში, მათ შორის წერილობითი და ზეპირი ინფორმაცია. ნარინჯისფერი კოდით წარმოდგენილი კატეგორიები რეგულარულ ჩართულობას (მაგ. ყოველ ექვს თვეში ერთხელ), როგორც წესი წერილობითი ინფორმაციის მეშვეობით; და ბოლოს მწვანე ფერის კოდით წარმოდგენილი კატეგორიები მოითხოვს იშვიათ ჩართულობას (მაგ. წელიწადში ერთხელ), როგორც წესი, არაპირდაპირი წერილობითი ინფორმაციის მეშვეობით (მაგ. მასმედია).

ცხრილი 4: დაინტერესებულ პირთა ჯგუფების პრიორიტეტიზაცია და ანალიზი, ინტერესის დონის და პროექტზე ზემოქმედების საფუძველზე.

	პროექტზე გავლენის მოხდენის ზემოქმედების მაღალი შესაძლებლობა ალბათობა ან	პროექტზე გავლენის მოხდენის ზემოქმედების საშუალო შესაძლებლობა ალბათობა ან	პროექტზე გავლენის მოხდენის ზემოქმედების დაბალი შესაძლებლობა ალბათობა ან
პროექტით დაინტერესების მაღალი დონე	<ul style="list-style-type: none"> • მიწის ჩამორთმევით და ფიზიკური ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობა • საპროექტო ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები • მოწყვლადი ოჯახები • ადგილობრივი სამინისტროები და სახელმწიფო უწყებები 	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი სახელმწიფო დეპარტამენტები • მუნიციპალიტეტები და სოფლები 	
პროექტით დაინტერესების საშუალო დონე	<ul style="list-style-type: none"> • არასამთავრობო ორგანიზაციები • პრესა და მედია • მოწყვლადი ოჯახები • გარე მოვაჭრეები 	<ul style="list-style-type: none"> • ბიზნესები და მუშათა ორგანიზაციები 	<ul style="list-style-type: none"> • აკადემიური დაწესებულებები • ფართო საზოგადოება, ტურისტები, სამუშაოს მამიებლები
პროექტით დაინტერესების დაბალი დონე			<ul style="list-style-type: none"> • სხვა პროექტის დეველოპერები და სხვა დამფინანსებლები

4.0 დაინტერესებულ პირთა ჩართულობის პროგრამა

4.1 დაინტერესებულ პირთა ჩართულობის დაგეგმილი ღონისძიებები

დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებები მოითხოვს დაინტერესებულ პირთა კონკრეტული ჯგუფებისთვის შესაბამისი ინფორმაციის და შესაძლებლობების უზრუნველყოფას - გაახმოვანონ თავიანთი შეხედულებები იმ თემებზე, რომლებიც მათ ეხებათ. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია პროექტით გათვალისწინებული დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებები. ღონისძიების ტიპები და მათი სიხშირე შეესაბამება სამ მთავარ საპროექტო ეტაპს (RAP (განსახლების სამოქმედო გეგმა) მომზადება, განხორციელება და პროექტირება; მშენებლობა; მშენებლობის შემდგომი და საექსპლუატაციო ფაზა). უფრო დეტალური განმარტება დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გამოყენებული მეთოდების შესახებ მოცემულია ნაწილში 4.2

ცხრილი 5: დაინტერესებულ პირთა ჩართულობის დაგეგმილი ღონისძიებები პროექტის განხორციელების ეტაპების მიხედვით

პროექტის ეტაპი	სამიზნე დაინტერესებული პირები	ჩართულობის თემები	გამოყენებული მეთოდები	ადგილმდებარეობა/ სიხშირე	პასუხისმგებლობები
დეტალური პროექტირება	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები - მიწის შესყიდვის და ფიზიკური განსახლების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები; საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა; მოწყვლადი ოჯახები	მიწის შესყიდვის პროცესი ; ოფიციალური პირებისათვის დახმარების გაწევა დოკუმენტების შეგროვებაში მიწის ადრეული რეგისტრაციისთვის; კომპენსაციის განაკვეთები და მეთოდოლოგია; პროექტის ფარგლები და დასაბუთება; პროექტის E&S პრინციპები; განსახლების და საარსებო გარემოს აღდგენის ოფციონები; საჩივრების განხილვის პროცესი. ინფორმაცია და პროცესები მორგებული იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჯგუფების	საჯარო შეხვედრები, ტრენინგები /სემინარები, ცალკე შეხვედრები სპეციალურად ქალებისთვის და მოწყვლადი პირებისთვის; მასობრივი საინფორმაციო საშუალებები / სოციალური მედია კომუნიკაცია - Facebook, ვებგვერდი; წერილობითი ინფორმაციის გამოქვეყნება - ბროშურები, პოსტერები, ფლაერები, ვებგვერდი საინფორმაციო დაფა - მუნიციპალიტეტებში და სამშენებლო ბანაკებში; საჩივრების განხილვის მექანიზმი;	პროექტის დაწყებასთან დაკავშირებული შეხვედრები მუნიციპალიტეტებში; ყოველთვიური შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში და სოფლებში; ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების კვლევა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფლებში; კომუნიკაცია	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი; მუნიციპალური საჩივრების განხილვის კომიტეტი

		საჭიროებებზე, განსაკუთრებით გათვალისწინებული იქნება მოწყვლადი შინამეურნეობების საჭიროებები ენის, წიგნიერების, კონსულტაციების დროისა და ადგილის, ინფორმაციისა და პროცედურების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების კვლევა - განსახლების დასრულების შემდეგ.	მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით სოციალური მედიით (საჭიროების შემთხვევაში); საინფორმაციო დაფები ბროშურებით / პოსტერებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (უწყვეტი)	
სხვა დაინტერესებული მხარეები (გარე) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; მუნიციპალიტეტები (მათ შორის მერის წარმომადგენლები სოფლებში)	მიწის შესყიდვის პროცესი ; მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია; განსახლების და საარსებო საშუალებების აღდგენის ოფციონები; პროექტის ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები; საჩივრების განხილვის პროცესი.	პირისპირ შეხვედრები; ერთობლივი საჯარო / მცირე ჯგუფების/ინდივიდუალური შეხვედრები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებთან (PAPs).	ყოველკვირეულად (საჭიროების მიხედვით)	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი;	
სხვა დაინტერესებული მხარეები (გარე) პრესა და მედია ; არასამთავრობო ორგანიზაციები; ბიზნესები და ბიზნეს ორგანიზაციები; მუშათა ორგანიზაციები; სამეცნიერო დაწესებულებები; სახელმწიფო სამინისტროები;	მიწის შესყიდვის პროცესი ; საჩივრების განხილვის პროცესი. პროექტის ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები;	საჯარო შეხვედრები, ტრენინგები /სემინარები, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები / სოციალური მედია კომუნიკაცია - Facebook, ვებგვერდი; წერილობითი ინფორმაციის გამოქვეყნება - ბროშურები, პოსტერები, ფლაერები,	პროექტის პრეზენტაციის შეხვედრები მუნიციპალიტეტებში; ყოველთვიური შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო);	

	<p>ადგილობრივი სამთავრობო უწყებები; ფართო საზოგადოება, ტურისტები, სამუშაოს მაძიებლები</p>		<p>ვებგვერდი, საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალებები;</p> <p>საინფორმაციო დაფები - მუნიციპალიტეტებში და ბანაკებში;</p> <p>საჩივრების განხილვის მექანიზმი;</p> <p>პროექტის ტურები მედიის, ადგილობრივი წარმომადგენლობისთვის.</p>	<p>და სოფლებში; კომუნიკაცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით სოციალური მედიით (საჭიროების შემთხვევაში); საინფორმაციო დაფები ბროშურებით / პოსტერებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (უწყვეტი).</p>	<p>RAP კონსულტანტი;</p>
	<p>სხვა დაინტერესებული მხარეები (გარე)</p> <p>სხვა სამთავრობო უწყებები; რომელმაც უნდა გასცეს ნებართვები / თანხმობები. პროექტის სხვა ორგანიზატორები პროექტის ფარგლებში და მათი დამფინანსებლები.</p>	<p>პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია - ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები; კოორდინაციის ღონისძიებები; მიწის შესყიდვის პროცესი; საჩივრების განხილვის პროცესი.</p>	<p>პირისპირ შეხვედრები; მოწვევა საჯარო / თემის შეხვედრებზე/სამიზნე ჯგუფების შეხვედრებზე</p>	<p>საჭიროების მიხედვით</p>	<p>სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი;</p>
	<p>სხვა დაინტერესებული მხარეები (შიდა)</p> <p>სხვა სგდ-ს პერსონალი; ზედამხედველი კონსულტანტები; კონტრაქტორი, ქვეკონტრაქტორები,</p>	<p>პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია - ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები; ტრენინგი ESIA და სხვა ქვე-მართვის გეგმების შესახებ; საჩივრების განხილვის პროცესი.</p>	<p>პირისპირ შეხვედრები; ტრენინგები / სემინარები; მოწვევა საჯარო / თემის შეხვედრებზე.</p>	<p>საჭიროების მიხედვით</p>	<p>სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის</p>

	მომსახურების მომწოდებლები, მომწოდებლები და მათი მუშახელი.				სამმართველო); RAP კონსულტანტი;
მშენებლობა, დემონტირება	<p>პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები - მიწის ჩამორთმევის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობა; საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა; მოწყვლადი ოჯახები.</p>	<p>მიწის შესყიდვის პროცესი; (მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია; კომპენსაციის განაკვეთები და მეთოდოლოგია; საარსებო საშუალებების აღდგენა); საჩივრების განხილვის პროცესი. ზემოქმედებები ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე (EMF, მშენებლობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები); დასაქმების შესაძლებლობები; ეკოლოგიური საკითხები; სქესზე დაფუძნებულ ძალადობაზე ინფორმირებულობის ამაღლება. ინფორმაცია და პროცესები მორგებული იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჯგუფების საჭიროებებზე, განსაკუთრებით გათვალისწინებული იქნება მოწყვლადი შინამეურნეობების საჭიროებები ენის, წიგნიერების, კონსულტაციების დროისა და ადგილის, ინფორმაციისა და პროცედურების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.</p>	<p>საზოგადოებასთან შეხვედრები, ტრენინგები /სემინარები, ცალკე შეხვედრები სპეციალურად ქალებისთვის და მოწყვლადი პირებისთვის; ინდივიდუალური პროპაგანდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები / სოციალური მედია კომუნიკაცია - Facebook, ვებგვერდი. წერილობითი ინფორმაციის გამოქვეყნება - ბროშურები, პოსტერები, ფლაერები, ვებ-გვერდი საინფორმაციო დაფები - მუნიციპალიტეტებში და ბანაკებში; საჩივრების განხილვის მექანიზმი; PAP კვლევა - განსახლების და/ან მშენებლობის დასრულების შემდეგ.</p>	<p>ყოველთვიური/ყოველ კვარტალური შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში და სოფლებში, სადაც მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები; კომუნიკაცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით /სოციალური მედიით (საჭიროების შემთხვევაში); საინფორმაციო დაფები ბროშურებით / პოსტერებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (უწყვეტი).</p>	<p>სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი; ზედამხედველი კონსულტანტი; კონტრაქორი/ქვეკონტრაქტორი; არასამთავრობოებო/ტრენერები; მუნიციპალიტეტი ს საჩივრების განხილვის კომიტეტი</p>

	<p>სხვა დაინტერესებული მხარეები (გარე) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; მუნიციპალიტეტები (მათ შორის მერის წარმომადგენლობა სოფლებში)</p>	<p>მიწის შესყიდვის პროცესი ; მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია; განსახლების და საარსებო საშუალებების აღდგენის ოფციონები; პროექტის ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები; საჩივრების განხილვის პროცესი.</p>	<p>პირისპირ შეხვედრები; ერთობლივი საჯარო/თემის შეხვედრების პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან</p>	<p>ყოველკვირეულად (საჭიროების მიხედვით)</p>	<p>სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი; ზედამხედველი კონსულტანტი; კონტრაქტორი/ქვეკონტრაქტორი; არასამთავრობო ი/ტრენერები; მუნიციპალიტეტი ს საჩივრების განხილვის კომიტეტი</p>
--	---	--	--	---	---

	<p>სხვა დაინტერესებული მხარეები (გარე) პრესა და მედია ; არასამთავრობო ორგანიზაციები; ბიზნესები და ბიზნეს ორგანიზაციები; მუშათა ორგანიზაციები; სამეცნიერო დაწესებულებები; სახელმწიფო სამინისტროები; ადგილობრივი სამთავრობო უწყებები; ფართო საზოგადოება, ტურისტები, სამუშაოს მაძიებლები</p>	<p>პროექტის შესახებ ინფორმაცია - ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები; კოორდინაციის ღონისძიებები; მიწის შესყიდვის პროცესი; ზემოქმედება ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე; დასაქმების შესაძლებლობები; გარემოსდაცვითი პრობლემები; საჩივრების განხილვის პროცესი.</p>	<p>საჯარო შეხვედრები, ტრენინგები /სემინარები; მასობრივი საინფორმაციო საშუალებები / სოციალური მედია კომუნიკაცია - Facebook, ვებგვედი; წერილობითი ინფორმაციის გამოქვეყნება - ბროშურები, პოსტერები, ფლაერები, ვებ-გვერდი; საინფორმაციო დაფები - მუნიციპალიტეტებში და ბანაკებში; საჩივრების განხილვის მექანიზმი; პროექტის ტურები მედიის, ადგილობრივი წარმომადგენლობისთვის.</p>	<p>ყოველთვიური/ყოველკვარტალური შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში და სოფლებში, სადაც მიმდინარეობს მშენებლობა; კომუნიკაცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით /სოციალური მედიით (საჭიროების შემთხვევაში); საინფორმაციო დაფები ბროშურებით / პოსტერებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (უწყვეტი).</p>	<p>სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო);</p>
--	--	---	---	--	---

	<p>სხვა დაინტერესებული მხარეები (შიდა) სგდ-ს სხვა პერსონალი; ზედამხედველი კონსულტანტი; კონტრაქტორი, ქვე-კონტრაქტორები, მომსახურების პროვაიდერები, მომწოდებლები და მათი მუშახელი.</p>	<p>პროექტის შესახებ ინფორმაცია - ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები; ტრენინგი ESIA და სხვა ქვე-მართვის გეგმების შესახებ; საჩივრების განხილვის პროცესი.</p>	<p>პირისპირ შეხვედრები; ტრენინგები / სემინარები; მოწვევა საჯარო / თემის შეხვედრებზე.</p>	<p>საჭიროების მიხედვით</p>	<p>სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი; ზედამხედველი კონსულტანტი; კონტრაქტორი/ქვე კონტრაქტორი;</p>
--	--	--	--	----------------------------	--

<p>ექსპლუატაციის ფაზა (პროექტის განხორციელების პერიოდის დასრულების შემდეგ)</p>	<p>პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები - მიწის ჩამორთმევით ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობა; საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა; მოწყვლადი ოჯახები.</p>	<p>ჩართულობის ღონისძიებებისა და საჩივრების განხილვის მექანიზმი; საჩივრების განხილვის პროცესი; საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოების ღონისძიებები TL-ის ექსპლუატაციის პერიოდში; განსახლების კომპენსაციის შეფასება და მიწების გადაცემის პროცესის დასრულება (ზემოქმედების ქვეშ მოქცეული იმ პირებისთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ, ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p> <p>ინფორმაცია და პროცესები მორგებული იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჯგუფების საჭიროებებზე, განსაკუთრებით გათვალისწინებული იქნება მოწყვლადი შინამეურნეობების საჭიროებები ენის, წიგნიერების, კონსულტაციების დროისა და ადგილის, ინფორმაციისა და პროცედურების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.</p>	<p>საზოგადოებასთან შეხვედრები, ტრენინგები /სემინარები, ინდივიდუალური პროპაგანდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები / სოციალური მედია კომუნიკაცია - Facebook, ვებგვერდი. წერილობითი ინფორმაციის გამოქვეყნება - ბროშურები, პოსტერები, ფლაერები, ვებ-გვერდი საინფორმაციო დაფები - მუნიციპალიტეტებში და ბანაკებში; საჩივრების განხილვის მექანიზმი; PAP კვლევა - განსახლების დასრულების შემდეგ.</p>	<p>შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში და სოფლებში (ექვს თვეში ერთხელ); ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფლებში მოქალაქეების/ PAP-ების აღწერა; კომუნიკაცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით სოციალური მედიით (საჭიროების შემთხვევაში); საინფორმაციო დაფები ბროშურებით / პოსტერებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (უწყვეტი).</p>	<p>სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი; ზედამხედველი კონსულტანტი; კონტრაქტორი/ ქვეკონტრაქტორი;</p>
--	---	---	---	--	---

	<p>სხვა დაინტერესებული მხარეები (გარე) პრესა და მედია ; არასამთავრობო ორგანიზაციები; ბიზნესები და ბიზნეს ორგანიზაციები; მუშათა ორგანიზაციები; სამეცნიერო დაწესებულებები; სახელმწიფო სამინისტროები; ადგილობრივი სამთავრობო უწყებები; ფართო საზოგადოება, ტურისტები, სამუშაოს მაძიებლები</p>	<p>საჩივრების განხილვის პროცესი; საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მშენებლობისა და ექსპლოატაციის დროს</p>	<p>საჯარო შეხვედრები, ტრენინგები /სემინარები; მასობრივი საინფორმაციო საშუალებები / სოციალური მედია კომუნიკაცია - Facebook, ვებგვედი; წერილობითი ინფორმაციის გამოქვეყნება - ბროშურები, პოსტერები, ფლაერები, ვებ-გვერდი; საინფორმაციო დაფები - მუნიციპალიტეტებში და ბანაკებში; საჩივრების განხილვის მექანიზმი; პროექტის ტურები მედიის, ადგილობრივი წარმომადგენლობისთვის.</p>	<p>შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (ექვს თვეში ერთხელ); კომუნიკაცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით სოციალური მედიით (საჭიროების შემთხვევაში); საინფორმაციო დაფები ბროშურებით / პოსტერებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (უწყვეტი).</p>	<p>სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო);</p>
--	--	--	---	--	---

4.2. დეტალები ჩართულობის გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ

4.2.1. საჯარო/თემის შეხვედრები, COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები

პროექტის დასაწყისში, სგდ და კონსულტანტები უზრუნველყოფენ პროექტის დაწყების შეხვედრების ორგანიზებას მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში. ამის შემდეგ, პროექტის მენეჯერი დაეხმარება თემის შეხვედრების/სენსიბილიზაციის (ინფორმაციის) სესიების ორგანიზებას სოფლებში ყოველკვარტალურად და მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება დამატებითი შეხვედრები პროექტის განხორციელების პერიოდში. ESIA-სა და RAP-ის ანგარიშების ფარგლებში ჩატარებული სოციალურ-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე, დადგინდა იმ შინამეურნეობების რაოდენობა, რომელთაც ჰყავთ მოწყვლადი ოჯახის წევრები. ინფორმაცია პროექტის ზემოქმედების შესახებ უშუალოდ მიეწოდებოდათ მათ ოჯახური ვიზიტების მეშვეობით, გარდა ამისა, სამსახურთან დაკავშირებული სპეციალური ტრენინგები იქნება მათთვის შეთავაზებული.

4.2.2 მასობრივი საინფორმაციო საშუალებები /სოციალური მედია კომუნიკაცია

სგდ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო პროექტში ჩართულობისთვის გამოყოფს კონკრეტულ პირს, რათა განათავსოს ინფორმაცია სგდ-ს ვებგვერდზე, Twitter-სა და Facebook-ის გვერდებზე და კომუნიკაცია იქონიოს ადგილობრივ მოსახლეობასთან სოციალური მედია კამპანიების საშუალებით და მონიტორინგი გაუწიოს მედიას/სოციალურ მედიას და შეამოწმოს არის თუ არა პროექტთან დაკავშირებული რაიმე პრობლემა. პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი პრეტენზიის შემთხვევაში, პრეტენზიები დაუყოვნებლივ გადაეგზავნება გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურს შემდგომი განხილვისა და რეაგირებისთვის. სოციალური მედიის საშუალებები მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ინფორმაციის გასავრცელებლად, რადგან სოციალური მედიის (განსაკუთრებით Facebook, Twitter) გამოყენების მაჩვენებლები მაღალია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებში სხვადასხვა ასაკისა და წარმომავლობის მომხმარებლებში.

4.2.3. სარეკლამო-საინფორმაციო მასალები

წერილობითი ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდება სხვადასხვა სარეკლამო-საინფორმაციო მასალების მეშვეობით, მათ შორის ბროშურებით, ფლაერებით, პლაკატებით და ა.შ. საზოგადოებასთან ურთიერთობების პაკეტი შემუშავდება სპეციალურად და გავრცელდება ბუჭდური და ელექტრონული ფორმით. სგდ ასევე რეგულარულად განახლებს თავის ვებ-გვერდს (მინიმუმ კვარტალურში ერთხელ) ძირითადი პროექტის განახლებებით და პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ ანგარიშებით, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებზე. ვებგვერდი ასევე მოგაწვდით ინფორმაციას პროექტის საჩივრების მექანიზმის შესახებ (იხილეთ შემდეგი ქვეთავი).

4.2.4. საჩივრების განხილვის და დაკმაყოფილების მექანიზმი (GRM)

მსოფლიო ბანკის ESS10 მოთხოვნის შესაბამისად, პროექტისთვის შეიქმნება საჩივრების განხილვის სპეციალური მექანიზმი. განსაზღვრული საკომუნიკაციო მასალები (GRM ბროშურები, პოსტერები) შეიქმნება ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის საჩივრების განხილვის და დაკმაყოფილების საშუალებების და პროცედურების გაცნობის ხელშეწყობის მიზნით. ასევე შემუშავდება GRM სახელმძღვანელო და წინადადებების ყუთები დამონტაჟდება თითოეულ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფელში. პროექტის ფარგლებში მიღებული საჩივრების წარდგენის და განხილვის მიზნით, დაიგეგმა და უკვე შემუშავდა სპეციალური GRM ელექტრონული სისტემა/მონაცემთა ბაზა. GRM კომიტეტები მუნიციპალურ დონეზე ისარგებლებენ ტრენინგით, თუ როგორ მიიღონ, უპასუხოთ, განიხილონ და დახურონ საჩივრები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. GRM შიდა ტრენინგი ასევე ჩატარდება სგდ-ს კონტრაქტორის პერსონალისთვის. სგდ-ს ვებგვერდი მოიცავს მკაფიო ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება წარდგენილი იქნას უკუკავშირი, შეკითხვები, კომენტარები, საკითხები და საჩივრები დაინტერესებული პირების მიერ და ითვალისწინებს საჩივრების ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობას. ასევე ინფორმაციას GRM კომიტეტის მუშაობის შესახებ, როგორც პროცესის, ასევე ვადების თვალსაზრისით. GRM მოიცავს სპეციალურ პროტოკოლს და ტრენინგს კონფიდენციალური და მგრძობიარე ხასიათის საჩივრების განხილვის შესახებ, როგორცაა სექსუალურ ექსპლუატაციასთან და ძალადობასთან და სექსუალურ შევიწროებასთან (SEA/SH) დაკავშირებული საჩივრები.

4.2.5 ტურები მედიისთვის, ადგილობრივი წარმომადგენლებისთვის

მშენებლობის ეტაპის განმავლობაში, შესაბამის ადგილებში მოეწყობა ვიზიტები ობიექტზე ან საჩვენებელი ტურები მედია ორგანიზაციების ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შერჩეული დაინტერესებული პირებისთვის

4.2.6. საინფორმაციო დაფები

მუნიციპალიტეტში არსებული საინფორმაციო დაფები ადგილობრივ მაცხოვრებლებს მიაწოდებს ინფორმაციას დაინტერესებულ პირთა ჩარულობის ღონისძიებების, მშენებლობის მიმდინარეობის, სგდ-ს პროექტის მენეჯერის საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ. ბროშურები და ფლაერები პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალური და ეკოლოგიური საკითხების შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ასეთ საინფორმაციო დაფებზე მუნიციპალიტეტსა და სამშენებლო ბანაკებში.

4.2.7 მოქალაქის / ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარის (PAP) დამოკიდებულების კვლევა / საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელიც მოიცავს მოქალაქის ინფორმირებულობის და დამოკიდებულების კვლევას პროექტის შესახებ, განხორციელდება ორჯერ პროექტის განხორციელების პროცესში: ერთხელ შუა განხორციელების ფაზაში და მეორედ პროექტის განხორციელების დასრულებისთვის.

4.2.8 ტრენინგები, სემინარები

და ბოლოს, ტრენინგები სხვადასხვა სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე შეიძლება ჩაუტარდეს კონტრაქტორის პერსონალს და, შესაძლოა, შესაბამის სამთავრობო ან არასამთავრობო მომსახურების მომწოდებლებს. განსახილველი საკითხები მოიცავს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოწყვლადი პირებისათვის ინფორმაციის მიწოდებას სათანადო გზით (დაბეჭდილი მასალები, მასალების თარგმნა და მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდება, კონსულტაციებისთვის ხელმისაწვდომი ადგილების უზრუნველყოფა, მათ საჭიროებებზე მორგება და ა.შ.) და გენდერული ძალადობის რისკების მიმართ სენსიბილიზაცია.

4.3. მოწყვლადი ჯგუფების მოსაზრების/ხედვის გათვალისწინების შემოთავაზებული სტრატეგია

პროექტის ფარგლებში მიიღება სპეციალური ზომები იმისათვის, რომ სოციალურად დაუცველ და მოწყვლად ჯგუფებს ჰქონდეთ ინფორმაციაზე წვდომის, უკუკავშირის ან საჩივრების წარდგენის თანაბარი შესაძლებლობები, როგორც ეს აღწერილია ზევით მოცემულ 4.2 ქვეპუნქტში. პროექტის მენეჯერი უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის პროაქტიულ ურთიერთობას. ტრენინგები და ცნობიერების ამაღლების სესიები ჩატარდება სოფლებში და არა მუნიციპალურ ცენტრში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიზნობრივი მოსახლეობის უფრო მაღალი ჩართულობა (დაბალანსებული სქესის და ასაკის მიხედვით). ასევე გათვალისწინებული იქნება მოწყვლადი ჯგუფებისთვის და უმცირესობებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სპეციალურად გამოყოფილი ფოკუს ჯგუფები.

4.4. ინფორმაციის გამქლავნება / გამოქვეყნება

სგდ-ს მოქმედი ვებგვერდი (www.georoad.ge) გამოიყენება საპროექტო დოკუმენტების, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტურობის შესახებ ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. სანამ მსოფლიო ბანკის მიერ პროექტის დაფინანსება იქნება ეფექტური, სგდ თავის მოქმედ ვებგვერდზე შექმნის ველს პროექტის შესახებ. პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის ყველა შემდგომი ანგარიში, რომლებიც მითითებულია ზემოთ ნაწილებში, გამოქვეყნდება აღნიშნულ ვებგვერდზე. სგდ-ს ვებგვერდზე ასევე განთავსდება პროექტის შესახებ განახლებული ინფორმაციები (მათ შორის ახალი ცნობები სამშენებლო საქმიანობების შესახებ და შესაბამისი მონაცემები ბუნებრივი და სოციალური გარემოს შესახებ); ასევე წარმოდგენილი იქნება გარემოსდაცვით და სოციალურ ანგარიშებში ან დოკუმენტებში გამოყენებული ტერმინოლოგიის მარტივად გასაგები სახელმძღვანელო და

განთავსდება საინფორმაციო ბროშურები / ფლაერები. პროექტის ფარგლებში საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის დეტალები განთავსდება ვებ-გვერდზე. საჩივრების წარდგენის ელექტრონული ფორმა ასევე ხელიმისაწვდომი იქნება სგდ-ს ვებგვერდზე. გარემოსა და სოციალურ საკითხთა გუნდის და სათაო ოფისების საკონტაქტო ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი იქნება ვებგვერდზე. სგდ რეგულარულად განახლებს ვებსაიტს (მინიმუმ კვარტალში ერთხელ).

5.0. დაინტერესებულ პირთა ჩართულობის როლი, პასუხისმგებლობები და რესურსები

5.1 განხორციელების ზომები

სგდ მოახდენს ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელების და საჩივრების განხილვის და დაკმაყოფილების მექანიზმის (GRM) მართვის მიზნით. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ღონისძიებებს უხელმძღვანელებს სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახური შესაბამისი პასუხისმგებლობებით და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო. სოციალური და გარემოსდაცვითი გუნდი, კონკრეტულად პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სპეციალისტი, აიღებს პასუხისმგებლობას დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ყველა საკითხის წარმართავსა და კოორდინაციაზე. საჭიროების შემთხვევაში, გუნდს დაეხმარებიან ნახევარ განაკვეთზე და სრულ განაკვეთზე მომუშავე კონსულტანტები. კომუნიკაციის სპეციალისტი და ფასილიტატორი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოდან შეადგენენ SEP-ის გუნდის განუყოფელ ნაწილს. გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი მთლიანად იქნება პასუხისმგებელი საჩივრების განხილვის და დაკმაყოფილების მექანიზმზე. პროექტთან დაკავშირებული საჩივრების კოორდინატორი/საკონტაქტო პირი ასევე არის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის გუნდის წევრი. გარდა ამისა, განსახლების სამმართველოს მიწის შესყიდვისა და განსახლების ექსპერტები მონაწილეობას მიიღებენ განსახლების სამოქმედო გეგმ(ებ)ის (RAP(s)) განხორციელებაში. გარემოსა და სოციალური სფეროს ექსპერტები პასუხისმგებელი იქნებიან ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე და პროექტის შესრულებაზე. პროექტის განხორციელების პროცესში აღნიშნული ფუნქციებისთვის სპეციალურად დასახელდება პერსონალი.

სგდ-ს მიერ მობილიზებული მატერიალური რესურსებია – (i) სგდ-ს ვებგვერდზე პროექტისათვის გამოყოფილი სპეციალური ადგილი; (ii) საჩივრების ელექტრონული მონაცემთა ბაზა; (iii) დაინტერესებულ პირთა ჩართულობის რეესტრი; (iv) სგდ-ს Facebook გვერდი; (v) დაბეჭდილი დოკუმენტები (სახელმძღვანელოები, ბროშურები, პოსტერები და სხვა), რომლებიც გამოყენებული იქნება დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის საჭიროებების საფუძველზე.

5.2. როლი და პასუხისმგებლობები

სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა გუნდი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო აიღებს პასუხისმგებლობას დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ყველა საკითხის ხელმძღვანელობაზე. თუმცა, დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმაში გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებისთვის, გარემოსა და სოციალურ საკითხთა გუნდმა

მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სხვა დაინტერესებულ პირებთან - სხვა სახელმწიფო და ადგილობრივ სამთავრობო დეპარტამენტებთან / უწყებებთან, სგდ-ს სამსახურებთან, ზედამხედველობის და ESIA/RAP კონსულტანტებთან, კონტრაქტორთან ქვე-კონტრაქტორებთან ერთად, ზემოქმედების ქვეშ მყოფ მუნიციპალიტეტებთან და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებთან. აღნიშნული პირების / დაინტერესებული მხარეების როლი და პასუხისმგებლობები შეჯამებულია ქვემოთ ცხრილში.

ცხრილი 6: მთავარი მოქმედი პირების / დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობები დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის (SEP) განხორციელებაში

მოქმედი პირი / დაინტერესებული მხარე	პასუხისმგებლობები
სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა გუნდი	<ul style="list-style-type: none"> • დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის და სხვადასხვა გეგმების (გსგ, ESIA და სხვათა) შედგენა და განხორციელება; • დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებების ხელმძღვანელობა; • საჩივრების მართვა და დაკმაყოფილება; • დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის ღონისძიებებზე კონტრაქტორების კოორდინაცია / ზედამხედველობა; • განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) და განხორციელების კონსულტანტების ზედამხედველობა / მონიტორინგი. • ეკოლოგიური და სოციალური ეფექტურობის მონიტორინგი და ანგარიშგება სგდ-ს ხელმძღვანელობის და მსოფლიო ბანკის წინაშე
ზედამხედველი კონსულტანტები	<ul style="list-style-type: none"> • კონტრაქტორის ზედამხედველობა/ მონიტორინგი. • ჩართულობის ღონისძიებების მართვა სამშენებლო ფაზის განმავლობაში
კონტრაქტორები/ქვეკონტრაქტორები	<ul style="list-style-type: none"> • სგდ-ს ინფორმირება დაინტერესებული პირების ჩართულობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესახებ; • სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული საჩივრების წარდგენა და გადაწყვეტა სგდ-სთან / ზედამხედველ კონსულტანტთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათი ხელმძღვანელობით და ასევე მონაწილეობის მიღებით საჩივრების განხილვის ადგილობრივ კომიტეტში;

	<ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა გეგმების (მაგ. C-ESMP, შრომის მართვის გეგმა და სხვა) მომზადება, გამოქვეყნება და განხორციელება; • ადგილობრივი თემების ინფორმირება გარემოს მონიტორინგის, მაგ. ხმაურის, ვიბრაციის, წყლის ხარისხის მონიტორინგის შესახებ. • მნიშვნელოვანი სამშენებლო საქმიანობების დაანონსება (როგორცაა გზის გადაკვეთა და არსებული ლატერნატივები).
<p>ეროვნული სახელმწიფო უწყებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. • გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო • დაცული ტერიტორიების სააგენტო • კულტურისა და სპორტის სამინისტრო • საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 	<ul style="list-style-type: none"> • პროექტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი. • ESMP (გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა) / RPF (განსახლების პოლიტიკის ჩარჩოდოკუმენტი) და SEP (დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა) გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება; • მიწის შესყიდვის პროცესის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება. • საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და საზოგადოების ჩართვა სკოპინგის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების (EIA) შესახებ.
<p>ზემოქმედების ქვემოთ მოქცეული მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი თემები</p>	<ul style="list-style-type: none"> • საჩივრების გადაცემა / წარდგენა სგდ-ს საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირისთვის • მონაწილეობის მიღება საჩივრების განხილვის და დაკმაყოფილების ადგილობრივ კომიტეტში (იხილეთ ნაწილი 6.0. საჩივრების განხილვის მექანიზმი). • ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) დოკუმენტების წარდგენა
<p>პროექტის ზემოქმედების ქვემოთ მოქცეული მოსახლეობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • მოწვეულნი არიან პროექტის შესახებ შეკითხვების დასმის და მონაწილეობის მიღების მიზნით პროექტთან დაკავშირებულ კრებებზე და გარემოსა და სოციალურ საკითხთა გუნდთან განხილვებში, თუ ეს საკითხი შედის მათი ინტერესების ფარგლებში ან ეხება მათ.

	<ul style="list-style-type: none"> • მათი საჩივრების დარეგისტრირება საჩივრების განხილვა / დაკმაყოფილების მექანიზმის გამოყენებით, რომელიც განსაზღვრულია დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმაში (ნაწილი 6.0 საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმი). • პროექტის დახმარება შემარბილებელი ზომების განსაზღვრის საკითხში;
პროექტის სხვა ოგანიზატორები	<ul style="list-style-type: none"> • სგდ-თან თანამშრომლობა პროექტირებასთან დაკავშირებით; • სგდ-თვის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ინფორმაციის და დოკუმენტაციის გაზიარება კუმულაციური ზემოქმედებების შეფასების მიზნით.

5.3. სავარაუდო ბიუჯეტი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა უნდა განხორციელდეს 42 თვის განმავლობაში (დაახლოებით 4 წელიწადში) და მისი წინასწარი ბიუჯეტი შეადგენს 152,000 აშშ დოლარს (იხ. დანართი 5). ბიუჯეტი ითვალისწინებს პერსონალს და კონსულტანტებს, რომლებიც ჩართულნი არიან SEP-ის განხორციელებაში, მგზავრობის ხარჯებს, ბეჭდვისა და მედიის ხარჯებს, მათ შორის, ინფორმაციის უწყვეტი გამჟღავნებისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ქვემოთ მოცემული აქტივობები მოიცავს მრავალფეროვან გარემოსდაცვით, სოციალურ და ექსპროპრიაციის საკითხებს, რომლებიც შეიძლება იყოს სხვა დოკუმენტების ნაწილი, ამიტომ შესაძლებელია, რომ ისინი ასევე დაფიქსირდეს სხვა გეგმებშიც. თუმცა, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ყველა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობა ერთ ადგილას უკეთესი კოორდინაციისა და მონიტორინგისთვის. სგდ განიხილავს ამ გეგმას ყოველ ექვს თვეში ერთხელ, რათა დაადგინოს, საჭიროა თუ არა რაიმე ცვლილება დაინტერესებული მხარეების კლასიფიკაციაში ან ჩართულობაში. თუ ასეა, გეგმა განახლდება და გავრცელდება ახალი გამოცემა. ბიუჯეტიც შესაბამისად გადაიხედება.

6.0 საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმი (GRM)

საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმი (GRM) ითვალისწინებს იმ საჩივრების განხილვას ეფექტური, დროული და ხარჯ-ეფექტური ფორმით, რომელიც წარმოიშობა პროექტის ფარგლებში, სგდ-ს ან სგდ-ს მიერ დაქირავებული კონტრაქტორის / ქვე-კონტრაქტორების ქმედებების შედეგად, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობიდან და გარეშე დაინტერესებული მხარეებისგან. შემუშავებულია ცალკე მექანიზმი, რომ მოხდეს მუშახელის საჩივრების განხილვა შრომის მართვის პროცედურების შესაბამისად. სგდ პასუხისმგებელია საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმის (GRM) მართვაზე, თუმცა პროექტის შესახებ საჩივრების უმეტესობა შესაძლოა დაკავშირებული იყოს კონტრაქტორის ქმედებებთან და უნდა მოგვარდეს კონტრაქტორის მიერ. სგდ, ზედამხედველი კონსულტანტის მხარდაჭერით, განახორციელებს საჩივრების

განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმის (GRM) პროცესის მართვას, და მიიღებს გადაწყვეტილებას მასზედ თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა (მას თუ კონტრაქტორს) და განსაზღვრავს საუკეთესო სამოქმედო გეგმას საჩივრის გადასაწყვეტად. ზედამხედველი კონსულტანტი მხარს დაუჭერს სგდ-ს კონტრაქტორის მიერ საჩივრების გადაწყვეტის მონიტორინგში.

პროექტთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმი (GRM) ითვალისწინებს მიწის და სხვა აქტივების შესყიდვის (მაგ. კომპენსაციის თანხა, დარჩენილი მიწის ნაკვეთების შესაფერისობა, მისასვლელი გზების დაკარგვა და სხვა) საკითხებს, ასევე სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზარალის და ზიანის საკითხებს, და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზემოქმედებებს, მათ შორის გენდერული ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალურ ნიადაგზე შევიწროების შემთხვევებს. აქედან გამომდინარე, საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი უნდა მოქმედებდეს ადგილზე იმ დროისათვის, როდესაც სგდ დაიწყებს განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP), ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) მომზადებას და უნდა ფუნქციონირებდეს ყველა სამშენებლო სამუშაოს დასრულებამდე და მანამ, სანამ ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდი არ დასრულდება. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები და სხვა პოტენციური მომჩივნები სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმის (GRM), მისი ფუნქციების, პროცედურების, დროის განრიგების და საკონტაქტო პირების შესახებ ბუკლეტების და საინფორმაციო ბროშურების მეშვეობით საკონსულტაციო კრებების და დაინტერესებულ პირთა ჩართულობის სხვა ღონისძიებების პროცესში.

ავტობანის მშენებლობის პროექტების შესახებ ტიპიური საჩივრები უკავშირდება:

- მიწის შესყიდვას და ფიზიკურ ადგილმონაცვლეობას;
- სამშენებლო ზიანს (მტვერი, ვიბრაცია, ხმაური, მისასვლელი გზების დაკეტვა)
- გარემოზე ზემოქმედებებს; და
- პირდაპირ და/ან არაპირდაპირ სოციალურ ზემოქმედებებს.

სგდ განახორციელებს საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების ეფექტურ მექანიზმს (GRM) იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მესამე მხარეებს სასამართლო სისტემისთვის მიმართვის თავიდან აცილებაში. სგდ-ს საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმი (GRM) მოიცავს საჩივრების არასასამართლოს გზით განხილვის და დაკმაყოფილების სამ თანმიმდევრულ ეტაპს: (i) პირველი არის საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRC) ადგილობრივ დონეზე; (ii) მეორე არის GRM სგდ-ს ადგილობრივ დონეზე და ბოლოს (iii) მესამე არის საჩივრების დაკმაყოფილების კომისია (GRC RD), რომლის შემადგენლობაში შედის სგდ-ს ხელმძღვანელობის ზედა რგოლი სგდ-ს სათაო ოფისში. მომჩივანებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ სასამართლო სისტემას. აღნიშნული ეტაპობრივი პროცესი ხელს არ შეუშლის მათ სასამართლოებისთვის მიმართვაში.

საჩივრებთან დაკავშირებული ყველა კორესპონდენცია იქნება დოკუმენტურად შედგენილი და საჩივრების გადაწყვეტის პროცესი სისტემატურად გაკონტროლდება. ანანიმური საჩივრებიც აღირიცხება და გამოძიებული იქნება, როგორც GRM-ის ნაწილი.

6.1 საჩივრების განხილვის პროცესი

საჩივრების გადაწყვეტის სამ-ეტაპიანი პროცესი მოიცავს შემდეგ მთავარ ნაბიჯებს:

- i. საჩივრების მიღება;
- ii. საჩივრების დასაშვებობის შეფასება;
- iii. საჩივრების გადაწყვეტის კომიტეტი (პირველი ეტაპი);
- iv. სგდ-ს მიერ საჩივრების გადაწყვეტა ცენტრალურ დონეზე (მეორე ეტაპი);
- v. სგდ-ს საჩივრების დაკმაყოფილების კომისია (მესამე ეტაპი);
- vi. საჩივრების დახურვა;
- vii. საჩივრების ჩანაწერები და დოკუმენტაცია.

აღნიშნული ეტაპები აღწერილია ქვემოთ.

6.1.1. საჩივრების მიღება

ნებისმიერ პირს, ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობიდან ან ნებისმიერ პირს, რომელიც თვლის, რომ მოქცეულია პროექტის ზემოქმედების ქვეშ, შეუძლია წარადგინოს საჩივარი:

- წერილობითი საჩივრების რეგისტრაციის ფორმის შევსებით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება (i) ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობებში, და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფლებში (ii) საჩივრების ყუთები განთავსება ყველა სამშენებლო მოედნისა და ბანაკის შესასვლელში; (iii) სგდ-ს ვებგვერდზე; და (iv) პროექტის მენეჯერთან თბილისში. საჩივრების რეგისტრაციის ფორმის ნიმუში წარმოდგენილია დანართში N4-ში. პროექტის მენეჯერი განიხილავს მიღებულ საჩივრებს და აღრიცხავს მათ საჩივრების რეესტრში.
- მუნიციპალიტეტის ან სოფლის უფროსთან მუნიციპალიტეტის დონეზე, სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსთან ეროვნულ დონეზე, ან კონტრაქტორის გარემოსდაცვის ან სოციალური საკითხების მენეჯერთან, ტელეფონით, ან პირადად. სიტყვიერი/ზეპირი სახით მიღებული საჩივრები შესაბამისი პირის მიერ ჩაიწერება საჩივრების რეგისტრაციის ფორმაში და აღრიცხება საჩივრების რეესტრში. შეტყობინებების წერილი რეგისტრირებული საჩივრის შესახებ გაეგზავნება მომჩივანს და ეცნობება მას, რომ საჩივარი მიღებულია და იმყოფება განხილვის ქვეშ.
- სგდ-ს ელ. ფოსტაზე პირდაპირ წერილის გაგზავნით: info@geoaroad.ge;
- ვებგვერდზე მითითებული ცხელ ხაზზე დარეკვით: + (995 32) 2 31 30 76 (ცხელი ხაზი მოქმედებს 24/7);
- Facebook-ისა და Twitter-ის მეშვეობით

კონტრაქტორების და სგდ-ს გარემოსდაცვის და სოციალური საკითხების მენეჯერები და სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი საჩივრის აღძვრის შესაძლებლობებს და საშუალებებს განუმარტავენ ადგილობრივ მოსახლეობას ან სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მიერ თითოეულ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე ორგანიზებული შეხვედრების დროს. საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) პროცედურები გამოქვეყნდება პროექტის ვებ-გვერდის მეშვეობით და ასევე განთავსდება ბილბორდებზე/ პოსტერებზე თითოეულ თემში და სოფლების შესასვლელებში. საინფორმაციო მასალა GRM-ს შესახებ ასევე ხელმისაწვდომი იქნება საინფორმაციო დაფებზე თითოეული მუნიციპალიტეტის შენობაში.

იმისათვის, რომ ყველა საჩივარი რეგისტრირებული იყოს, სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახური დაუკავშირდება მუნიციპალიტეტის ორგანოებს და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს იმის ასახსნელად, თუ როგორ უნდა იქნას ის საჩივრები მიმართული პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) მეშვეობით და აღრიცხული, რომლებიც შესაძლოა მიიღონ პროექტთან დაკავშირებით. ინფორმაცია საჩივრების ადგილობრივად წარდგენის საშუალებების შესახებ, სგდ-ს ოფისში თბილისში ან პროექტის ვებ-გვერდის მეშვეობით, განემრატება აღნიშნულ უწყებებს. სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახური რეგულარულად, ყოველკვირეულად, დაუკავშირდება მათ იმისათვის, რომ არ გამორჩეს რომელიმე საჩივარი. ადგილობრივად მიღებული ყველა საჩივარი შეტანილი იქნება საჩივრების ელექტრონულ ჟურნალში.

ყველა საჩივრის რეგისტრაციას, ანგარიშგებას და მიკვლევადობას საჩივრების რეესტრში განახორციელებს სგდ-ს საჩივრების საკონტაქტო პირი, რომელიც პასუხისმგებელია საჩივრების მიღებაზე, რეგისტრაციაზე, მიმართვაზე და თვალყურისდევნაზე. საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ განიხილება ის შემთხვევები, რაც საფუძვლად დაედო საჩივრებს, მსგავსი საჩივრების პრევენციის მიზნით. საჩივრების სტატუსის ნომერი და ტენდენციები განიხილება სგდ-ს, კონტრაქტორსა და ზედამხედველ კონსულტანტს შორის ყოველკვირეულ E&S შეხვედრებზე სამშენებლო ფაზის განმავლობაში.

6.1.2 საჩივრების დასაშვებობის შეფასება

საჩივრის მიღების შემდეგ, სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი განსაზღვრავს არის თუ არა საჩივარი დასაშვები, ე.ი. განსაზღვრავს შეესაბამება თუ არა ის პროექტს ან მიღებულია თუ არა იმ ტერიტორიიდან, სადაც მიმდინარეობს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები და შეიძლება დაკავშირებული იყოს პროექტთან.

ყველა ტიპის საჩივრის გადაწყვეტა უნდა მოხდეს აღნიშნული ეტაპების გავლით, თუმცა დაინტერესებული მხარეების შემთხვევაში, ეს დამოკიდებული იქნება საჩივრის ხასიათზე. ყველა საჩივარი განიხილება ქვემოთ წარმოდგენილი სისტემის მეშვეობით, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი, საჩივრების კოორდინატორი და კონტრაქტორის საჩივრების განხილვის წარმომადგენელი და ზედამხედველი კონსულტანტები, როგორც პროექტის წარმომადგენლები. განსახლებასთან დაკავშირებული საჩივრები (მიწის შესყიდვა და მისი შედეგები) განიხილება განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP)

კონსულტანტის მონაწილეობით მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული სჩივრების გადაწყვეტისას.

სგდ-ს საჩივრების საკონტაქტო პირი/კოორდინატორი მოახდენს ყველა საჩივრის აღრიცხვას საჩივრების ელექტრონულ ჟურნალში. კერძოდ, აღრიცხება შემდეგი ინფორმაცია: (i) სახელი და საკონტაქტო რეკვიზიტები, (ii) დეტალები საჩივრის შესახებ და მისი წარდგენის, დადასტურების, რეაგირების და დახურვის შესახებ. ყველა საჩივრი უნდა დადასტურდეს 7 დღის განმავლობაში და რეაგირება მოხდეს არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში. საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ, განიხილება ის შემთხვევები, რომლებიც საფუძვლად დაედო საჩივრებს, საჩივრების სათანადოდ დახურვის და მომავალში მსგავსი საჩივრების განმეორების პრევენციის მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი დაუშვებლად მიიჩნევა, სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი მიუთითებს მიზეზს და შეადგენს დოკუმენტს, რომ მომჩივანი ინფორმირებულია ამ გადაწყვეტილების შესახებ, ასევე განიმარტება გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. დაუშვებელი საქმეებს ზოგადად მიეკუთვნება ისინი, რომლებიც სგდ-ს მტკიცებით არ არის გამოწვეული სგდ-ს ან მისი კონტრაქტორის / ქვე-კონტრაქტორის ქმედებების შედეგად. თუ მომჩივანი არ დაკმაყოფილდება ამ შედეგით, მას შეუძლია გააგრძელოს ქმედება საქმის წარდგენით სგდ-ს საჩივრების დაკმაყოფილების კომისიაში ან საერთო სამართლის სასამართლოში (რაიონული სასამართლო).

სგდ განსაზღვრავს არის თუ არა საჩივრის გადაწყვეტა კონტრაქტორის (ან მისი ქვე-კონტრაქტორების), სგდ-ს ან ზედამხედველი კონსულტანტის პასუხისმგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ არის კონტრაქტორის ან ზედამხედველი კონსულტანტის პასუხისმგებლობა, სგდ გადახედავს, გააკეთებს კომენტარს და დაამტკიცებს ნებისმიერ გამოსასწორებელ ღონისძიებას.

საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ, სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი და/ან საჩივრების კოორდინატორი ინფორმაციას მიაწვდიან მომჩივანს წერილობითი ფორმით 10 დღის განმავლობაში.

6.1.3 საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (ეტაპი 1)

GRM-ს 1 ეტაპი მოიცავს საჩივრის (წერილობითი თუ ზეპირი) არაოფიციალურ (ზეპირ) განხილვას. ადგილობრივი საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) შეიქმნება მუნიციპალიტეტში, და მისი ოფისი განთავსდება მუნიციპალურ შენობაში. დასაშვები საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ, ჩაერთვება ადგილობრივი საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) საჩივრის გადაწყვეტის მიზნით. მოცემულ ეტაპზე საჩივარი განიხილება არაოფიციალური (ზეპირი) ფორმით და შემდეგ საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის წევრები შეადგენენ და ხელს მოაწერენ ოქმებს აღნიშნულ საკითხზე. იმ შემთხვევაში, თუ 1 ეტაპზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარის საჩივარი არ გადაწყდება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს ეცნობება მე-2 ეტაპის საჩივრების დაკმაყოფილების პროცედურების შესახებ. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს უფლება აქვს გამოიყენოს მე-2 ეტაპის პროცედურა 1 ეტაპის პროცედურების გამოყენების გარეშე. 1 ეტაპის საჩივრების გადაწყვეტის ვადა შეადგენს 7 დღეს. საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) შეიკრიბება საჭიროების მიხედვით (თუმცა მინიმუმ თვეში ერთხელ), მის შემადგენლობაში უნდა იყოს რვა წევრი. კონფიდენციალური ბუნების მქონე ნებისმიერ საჩივართან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნება სპეციალური ზომები. საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) არის რვა-წევრიანი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან:

- 1) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (სგდ) წარმომადგენელი, როგორც კომიტეტის კოორდინატორი;
- 2) რეგიონული/მუნიციპალური წარმომადგენელი („გამგეობიდან“) როგორც კომიტეტის მდივანი;
- 3) სოფლის რწმუნებული (“რწმუნებული“) როგორც კომიტეტის წევრი;
- 4) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის (AP) მიერ არჩეული ორი წარმომადგენელი, რომელთაგან მინიმუმ ერთი უნდა იყოს ქალი, როგორც კომიტეტის წევრი;
- 5) ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის (NGO) წარმომადგენელი, საჩივრის ხასიათის გათვალისწინებით - როგორც კომიტეტის წევრი;
- 6) ზედამხედველი კონსულტანტის სოციალური და გარემოს დაცვის ადგილობრივი სპეციალისტი – როგორც კომიტეტის წევრი;
- 7) სამშენებლო კომპანიიდან სოციალური და გარემოს დაცვის ადგილობრივი სპეციალისტი – როგორც კომიტეტის წევრი;

GRC-ის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, არ არის აუცილებელი საბჭოზე იყოს რვავე წევრი, უნდა იყოს მინიმუმ 3 წევრი: როგორცაა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, PAP-ის წარმომადგენელი და სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი არის საკმარისი ადგილობრივ დონეზე საჩივრის გადასაწყვეტად. GRC რეგულარულ სხდომას გამართავს კვირაში ერთხელ.

სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი იმოქმედებს საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის (GRC) მდივნის უფლებამოსილებით (შექმნა, კოორდინაცია და დოკუმენტაცია). საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის (GRC) წევრები მოწვეულნი იქნებიან განსახილველი საჩივრების სახეების მიხედვით. კრება დაიწყება მომჩივნების გარეშე საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის (GRC) ბოლო კრებიდან მიღებული ყველა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარის საჩივრის განხილვით, იმისათვის, რომ გასული ერთი ან ორი კვირის განმავლობაში წარმოდგენილი იქნას გადაწყვეტილება ყველა საჩივარზე. შემდეგ საჩივრების დაკმაყოფილების კომისია მოიწვევს იმ მომჩივნებს, რომელთა საჩივრები იქნა განხილული წინა შეკრებაზე, შეთავაზებული გადაწყვეტილების განხილვის მიზნით.

თითოეული საჩივრისთვის, საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) განსაზღვრავს საჭიროა თუ არა დამატებითი კვლევები. საჭიროების შემთხვევაში, შეგროვდება დამატებითი ინფორმაცია საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის (GRC) მომდევნო შეკრებამდე და ასევე წარედგინება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს (PAP) კრების ჩატარებამდე. საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) შეატყობინებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს (PAP) განხილვის თარიღს, დროს და ადგილს და შესაბამისად მოიწვევს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს (PAP).

საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) მიიღებს მომჩივანს და მასთან ერთად განიხილავს საჩივრის გადაწყვეტის საკითხს. კომიტეტმა უნდა შეადგინოს აღნიშნულ საკითხზე განხილვის ოქმი და ხელი მოაწეროს მას. თუ საჩივარი დამაკმაყოფილებლად გადაწყდება, აღნიშნულ ოქმს ასევე ხელს მოაწერს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარე (PAP) შეთანხმების დასტურად. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში შეთანხმდება დამატებითი ზომების გამოყენების საკითხი, ეს საკითხი მიეთითება კრების ოქმებში წარდგენის ვადასთან ერთად. იმ შემთხვევაში თუ საჩივარი

არ გადაწყდება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს განემარტება მე-2 ეტაპის ესკალაციის პროცესი.

პირველი ეტაპის საჩივრების განხილვის პროცედურები წარმოადგენს დავის გადაწყვეტის არაფორმალურ საშუალებას, რომელიც ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს და პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს საშუალებას აძლევს გადაწყვიტონ უთანხმოება ყოველგვარი ფორმალური პროცედურების, გაჭიანურების და დაბრკოლებების გარეშე. საჩივრების განხილვის ასეთი არაფორმალური მექანიზმი ხელს უწყობს საჩივრების უმეტესობის გადაჭრას ფორმალური პროცედურების გარეშე (ე.ი. ადმინისტრაციულ კოდექსში განსაზღვრული პროცედურების ან სასამართლო პროცესის გამოყენების გარეშე). იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარე არ დაკმაყოფილდება, საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი დაეხმარება მას წარადგინოს ოფიციალური საჩივარი მე-2 ეტაპის პროცედურების შესაბამისად (მომჩივანი ინფორმირებული უნდა იყოს თავისი უფლებების და ვალდებულებების, წესების და პროცედურების შესახებ საჩივრების წარდგენასთან დაკავშირებით, ასევე საჩივრის ფორმატის, საჩივრის წარდგენის პირობების და სხვა საკითხების შესახებ).

6.1.4 საჩივრების გადაწყვეტა ცენტრალურ დონეზე (ეტაპი 2)

მოცემულ ეტაპზე, საჩივარი განიხილება სგდ-ს დონეზე. 1 ეტაპზე გადაუწყვეტელი საჩივრები, მომჩივნის თანხმობით, გაეგზავნება სგდ-ს წერილობითი ფორმით. ანალოგიურად დაზარალებულ მომჩივნებს / პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებს, რომლებიც არ დაკმაყოფილდნენ GRC-ის გადაწყვეტილებით, შეუძლიათ წარუდგინონ თავიანთი საჩივრები სგდ-ს ცენტრალურ დონეზე. GRC დაეხმარება მას ოფიციალური საჩივრის წარდგენაში. სგდ-ს GRM კოორდინატორი, სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი განიხილავს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების წერილობით საჩივრებს, რომლებიც არ დაკმაყოფილდნენ 1 ეტაპზე და გააგზავნის მათ (შიდა ფარგლებში) შესაბამის სამსხურებში (იურიდიული, ტექნიკური, კონტრაქტების და სხვა) დასაკმაყოფილებლად. სგდ-ს შიდა მიმართვის ვადა შეადგენს 10 დღეს. მომჩივანს წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს გადაწყვეტილება მაქსიმუმ 30 დღის განმავლობაში, საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში განსაზღვრული რეაგირების დროის შესაბამისად

6.1.5 სგდ-ს პრობლემატური საკითხების (სოციალური და გარემოსდაცვითი) განხილვის კომისია (ეტაპი 3)

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ გადაწყდება მე-2 ეტაპზე შესაბამისი სამსახურის მიერ, საჩივარი წარედგინება სგდ-ს პრობლემატური საკითხების (სოციალური და გარემოსდაცვითი) განხილვის კომისიას. სგდ-ს პრობლემატური საკითხების (სოციალური და გარემოსდაცვითი) განხილვის კომისია აწარმოებს რეგულარ შეხვედრებს (თვეში მინიმუმ ერთხელ) და შეხვედრების დროს განიხილავს საჩივრებს და მიიღებს გადაწყვეტილებას საჩივარზე საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად. მომჩივანს წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს სგდ-ს გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ სგდ-ს გადაწყვეტილება არ დაკმაყოფილებს დაზარალებულ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს, მათ შეუძლიათ წარადგინონ საქმე შესაბამის საერთო სამართლის სასამართლოში. პრობლემატური საკითხების (სოციალური და გარემოსდაცვითი) განხილვის კომისიის შეამდგენლობაში შედიან:

- 1) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელი (სგდ-ს პრობლემატური საკითხების (სოციალური და გარემოსდაცვითი) განხილვის კომისიის ხელმძღვანელი);
- 2) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე (წევრი);
- 3) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე (წევრი);
- 4) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე (წევრი);
- 5) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე (წევრი);
- 6) იურიდიული სამსახურის უფროსი (წევრი);
- 7) იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე (წევრი);
- 8) განსახლების სამმართველოს უფროსი (წევრი);
- 9) გზების მოვლა-შენახვის სამსახურის უფროსი (წევრი);
- 10) ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტების სამსახურის უფროსი (წევრი);
- 11) შედასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობის სამსახურის უფროსი (წევრი);
- 12) გარემოს და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი (წევრი);
- 13) გარემოს და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოადგილე (წევრი);
- 14) ტექნიკური ზედამხედველობისა და საერთაშორისო პროექტების დაგეგმარების სამსახურის უფროსი (წევრი);
- 15) გარემოს და სოციალურ საკითხთა კონსულტანტი (მოწვეული წევრი);
- 16) გარემოს დაცვის სამმართველოს უფროსი (წევრი).

6.1.6 საჩივრების დახურვა

საჩივარი „გადაწყვეტილად“ ან „დახურულად“ ჩაითვლება, როდესაც მიიღება ორივე მხარისთვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება, და გამოსასწორებელი ღონისძიებების წარმატებით განხორციელების შემდეგ. როდესაც პროექტსა და მომჩივანს შორის შეთანხმებულ იქნება საჩივრის გადაწყვეტის შეთავაზებული გადაწყვეტილება, მისი განხორციელებისთვის საჭირო დრო დამოკიდებული იქნება გადაწყვეტილების სირთულეზე. თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილების შესასრულებლად ზომები მიღებულ იქნება საჩივრის რეგისტრაციიდან მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში და გაგრძელდება კონტროლი მის დასრულებამდე. გადაწყვეტილების შესრულების ან მომჩივანისთვის დამაკმაყოფილებლად შესრულების შემდეგ, საჩივრის დახურვის ფორმას ხელს მოაწერს ორივე მხარე (გარემოს და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ან მისი წარმომადგენელი და მომჩივანი), სადაც მიეთითება, რომ მომჩივანი თავის საჩივარს დახურულად თვლის. საჩივარი შეინახება პროექტის საჩივრების მონაცემთა ბაზის არაქივში.

თუმცა, კონკრეტულ სიტუაციებში, პროექტს შეუძლია „დახუროს“ საჩივარი იმ შემთხვევაშიც, თუ მომჩივანი არ იქნება კმაყოფილი შედეგით. მაგალითად, თუ მომჩივანი ვერ შეძლებს საჩივრის დასაბუთებას, ან ადგილი აქვს აშკარა სპეკულაციურ ან თაღლითურ მცდელობას. ასეთ სიტუაციებში პროექტის მიერ საჩივრის გამოძიების და დასკვნის გამოტანის ძალისხმევები უნდა იყოს სათანადოდ დოკუმენტირებული და მომჩივანი ინფორმირებული უნდა იყოს არსებული მდგომარეობის შესახებ. სგდ-მ უარი არ უნდა განაცხადოს საჩივრებზე ზედაპირული განხილვის საფუძველზე და დახუროს ისინი საჩივრების ჟურნალში, სანამ მომჩივანი ინფორმირებული არ იქნება და არ მიეცემა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობა.

6.1.7 საჩივრების ჩანაწერები და დოკუმენტაცია

სგდ დანიშნავს GRM კოორდინატორს, რომელიც მართავს საჩივრების მონაცემთა ბაზას ყველა მიღებული საჩივრის წერილობითი ჩანაწერის წარმოების მიზნით. მონაცემთა ბაზაში მიეთითება იმ ფიზიკური პირის ან ორგანიზაციის სახელი, რომელიც არეგისტრირებს საჩივარს; საჩივრის წარდგენის თარიღი და ტიპი; ნებისმიერი შემდგომ მიღებული ზომა; გადაწყვეტილებები და გამოსწორების ზომები, რომელიც მიიღო კონტრაქტორმა ან სხვა შესაბამისმა მხარემ; საბოლოო შედეგი; და მომჩივანისთვის გადაწყვეტილების შეტყობინების ფორმა და დრო.

6.1.8. ყველა ინფორმაცია პროექტის განხორციელების დროს წარდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით, მათი პრაქტიკული და დროული გადაწყვეტის გზები და საშუალებები შეჯამდება სგდ-ს მიერ მომზადებულ წლიურ ანგარიშებში და წარედგინება მსოფლიო ბანკს (მაგ. საჩივრების მონიტორინგი და ანგარიშგება მოხდება სგდ-ს ექსტეზიან და წლიურ ანგარიშებში). სენსიტიური საჩივრების განხილვის პროტოკოლი, მათ შორის გენდერული ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალურ ნიადაგზე შევიწროებასთან (SEA/SH) დაკავშირებული საჩივრები

სგდ შეიმუშავებს პროტოკოლს კონფიდენციალური მიდგომისთვის, რომელიც ორიენტირებული იქნება სენსიტიური საჩივრების განხილვაზე, მათ შორის იმ დელიკატურ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის პერსონალის მონაწილეობით ჩადენილ გენდერულ ძალადობასთან, სექსუალური ექსპლუატაციასთან ან სექსუალურ ნიადაგზე შევიწროებასთან. პროტოკოლში გათვალისწინებული იქნება მკაფიო სახელმძღვანელო მითითებები, თუ რისი გაკეთება შეიძლება და რისი არ შეიძლება საჩივრების განხილვისას, მაგალითად როგორცაა მომჩივნის კონფიდენციალურობის დაცვა, მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოთხოვნა, მომჩივანის ინფორმირება მათი არჩევანის შესახებ, რომ დაარეგისტროს საჩივარი სხვა დაწესებულებებში, მომჩივანის გაგზავნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ან სხვა შესაბამისი მომსახურების გასაწევად. პროექტზე დასაქმებული ყველა თანამშრომელი და ადგილობრივი საზოგადოება გაივლის ცნობიერების ამაღლების ტრენინგს სექსზე დაფუძნებული ძალადობის მიმართ სენსიტიზირებული საჩივრების მექანიზმის ხელმისაწვდომობის შესახებ. საჩივრების განხილვის კოორდინატორები გაივლიან სიღრმისეულ ტრენინგს დელიკატური საჩივრებისთვის პროტოკოლის გამოყენების შესახებ. პროტოკოლისა და ტრენინგის შეიმუშავებისთვის სგდ სამუშაოებში ჩართავს GBV და SEA/SH საკითხებში კვალიფიცირებულ ექსპერტს.

6.2. მუშახელის საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმი

ამჟამად, სგდ-ს არ გააჩნია საჩივრების წარდგენის და განხილვის შიდა მექანიზმი, რომელიც მის თანამშრომლებს საშუალებას მისცემს დააყენონ სამუშაო ადგილის პრობლემები.

არ გამოიყენება მორიგების (შემათანხმებელი) პროცედურები, რომელიც გათვალისწინებულია შრომის კოდექსში. ადგილზე არ არსებობს სგდ-ს თანამშრომლების მიერ მიღებული საჩივრების თვალყურის დევნების სისტემა.

სგდ მოითხოვს კონტრაქტორებისგან შეიმუშაონ და დანერგონ საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმი მათი თანამშრომლებისთვის, ქვეკონტრაქტორების ჩათვლით, სამშენებლო სამუშაოების

დაწყებამდე. მშენებელი კონტრაქტორები მოამზადებენ შრომის მართვის პროცედურას პროექტის LMP-ის შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, რომელიც ასევე მოიცავს მუშახელის საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმის დეტალურ აღწერილობას.

მუშახელის საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმი მოიცავს:

- საჩივრების მიღების პროცედურა, როგორცაა კომენტარის / საჩივრის ფორმა, წინადადებების ყუთი, ელ-ფოსტა, სატელეფონო ცხელი ხაზი;
- საჩივრებზე რეაგირების დადგენილი ვადები;
- რეესტრს საჩივრების დროულად გადაწყვეტის აღრიცხვის და მეთვალყურეობის მიზნით;
- პასუხისმგებელი სამსახური საჩივრების გადაწყვეტილების მიღების, აღრიცხვის და მეთვალყურეობის მიზნით.

ზედამხედველი კონსულტანტი განახორციელებს კონტრაქტორის მიერ საჩივრების ჩანაწერების წარმოების და გადაწყვეტის მონიტორინგს და მოახდენს ყოველივე ამის ანგარიშგებას სგდ-ს სამუშაოების მიმდინარეობის ყოველთვიურ ანგარიშებში. ამ პროცესის მონიტორინგს განახორციელებს GRM კოორდინატორი, სგდ-ს წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროექტის საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმზე.

მუშახელის საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმი აღწერილი იქნება პერსონალის შესავალ ტრენინგში, რომელიც ჩატარდება პროექტის ფარგლებში დასაქმებულ ყველა პირს. ეს მექანიზმი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- პროცესი იქნება გამჭვირვალე და მომუშავეებს საშუალებას მისცემს გამოხატონ თავიანთი პრობლემები და წარადგინონ საჩივრები.
- საჩივრის წარმომდგენის მიმართ არ იქნება არავითარი დისკრიმინაცია და ყველა საჩივარი კონფიდენციალურად განიხილება.
- ანონიმური საჩივრები იგივენაირად განიხილება, როგორც არა ანონიმური;
- ხელმძღვანელობა საჩივრებს სერიოზულად განიხილავს და შესაბამისად და დროულად მოახდენს მათზე რეაგირებას.

საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმის არსებობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ყველა მომუშავესათვის (პირდაპირი და კონტრაქტით დაქირავებულისთვის) განცხადებების დაფის, „წინადადების/საჩივრების ყუთის“ და სხვა საშუალების ხელმისაწვდომობით.

6.3 სგდ-ს საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო პირი საჩივრების მართვასთან და ადგილობრივი დაინტერესებული პირების ჩართულობის ღონისძიებებთან დაკავშირებით არის სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი:

აღწერა	საკონტაქტო რეკვიზიტები
ორგანიზაცია:	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ)
ვის:	გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი
მისამართი:	საქართველო, თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. N12
ელ.ფოსტა:	[უნდა დაემატოს]
ვებგვერდი:	www.georoad.ge
ტელეფონი:	[უნდა დაემატოს]

ინფორმაცია პროექტის და დაინტერესებულ პირთა ჩართულობის მომავალი პორგრამების შესახებ ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ვებ-გვერდზე და განთავსდება საინფორმაციო დაფებზე საპროექტო ზონაში არსებულ ზემოქმედების ქვეშ მყოფ სოფლებში.

ექსპერტიზა E&S ანგარიშები, სადაც დოკუმენტურად არის დამოწმებული დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის (SEP) განხორციელება, გამოქვეყნდება პროექტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივ მუნიციპალიტეტის შენობებში.

გარდა ამისა, ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული პირების ჩართულობის შესახებ დაკავშირებული ინფორმაციისთვის და პროექტის ეკოლოგიური და სოციალური ეფექტურობის შესახებ ინფორმაციისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები (CSOs) და მედია უნდა დაეკონტაქტოს სგდ-ს კომუნიკაციების განყოფილების ხელმძღვანელს თბილისში:

აღწერა	საკონტაქტო რეკვიზიტები
ორგანიზაცია:	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ)
ვის:	საავტომობილო გზების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი
მისამართი:	საქართველო, თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. N12
ელ.ფოსტა:	[უნდა დაემატოს]
ვებგვერდი:	www.georoad.ge

აღწერა	საკონტაქტო რეკვიზიტები
ტელეფონი:	[უნდა დაემატოს]

7.0. მონიტორინგი და ანგარიშგება

7.1 მონიტორინგის ანგარიშები მშენებლობის განმავლობაში

SEP პერიოდულად გადაიხედება და განახლდება პროექტის განხორციელებისას საჭიროებისამებრ, რათა უზრუნველყოფილი იყოს აქ წარმოდგენილი ინფორმაციის თანმიმდევრულობა და განახლებულობა. ჩართულობის გამოვლენილი მეთოდები რჩება შესაბამისი და ეფექტური პროექტის კონტექსტში და განვითარების კონკრეტულ ფაზებთან მიმართებაში.

კვარტალური და ნახევარწლიური მონიტორინგის ანგარიშები, რომლებიც დოკუმენტალურად დაადასტურებენ პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ ეფექტურობას მშენებლობის განმავლობაში, უნდა მოამზადოს სოციალურ და გარემოსდაცვით ჯგუფმა სგდ-ს ხელმძღვანელობისთვის და მსოფლიო ბანკისთვის წარსადგენად. მონიტორინგის ანგარიშები ასევე უნდა მოიცავდეს ნაწილს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ. ქვემოთ ცხრილი N8-ში წარმოდგენილია მოცემულ ეტაპზე დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის (SEP) შესრულებასთან დაკავშირებული მაჩვენებლების სრული პაკეტი.

ცხრილი 8: SEP მაჩვენებლები, რომლებიც დოკუმენტურად უნდა დამოწმდეს სამუშაოების მიმდინარეობის ანგარიშებში

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების ჩართულობა
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებთან (PAPs) ოფიციალური შეხვედრების რაოდენობა და ჩატარების ადგილი
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებთან (PAPs) არაოფიციალური შეხვედრების რაოდენობა და ჩატარების ადგილი
მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების ან ტრენინგის ფარგლებში შეხვედრების რაოდენობა და ჩატარების ადგილი.
თითოეულ ზემოთ მითითებულ შეხვედრაზე დამსწრე ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა.
მუნიციპალიტეტებთან და მოსახლეობასთან/თემებთან ან სხვა დაინტერესებულ პირებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, ადგილი, დასწრება და დოკუმენტაცია
თითოეულ კრებასთან დაკავშირებით, მიღებული კომენტარების რაოდენობა და ბუნება, აღნიშნული შეხვედრების დროს შეთანხმებული მოქმედებები, ასეთი ქმედებების სტატუსი და კომენტარების შეტანის წესი პროექტის ESMP-ში.

<p>ოფიციალური შეხვედრების ოქმები და არაოფიციალური შეხვედრების შემაჯამებელი ჩანაწერი დაერთვება აღნიშნულ ანგარიშს. მათში შეჯამდება დამსწრე პირთა მოსაზრებები და მამაკაცებისა და ქალების მიერ გამოთქმულ კომენტარებს შორის განსხვავებული ხედვები.</p>
<p>სხვა დაინტერესებულ პირთა ჩართულობა</p>
<p>სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის ღონისძიებების რაოდენობა და ხასიათი, დაყოფილი დაინტერესებულ მხარეთა კატეგორიების მიხედვით (სამთავრობო უწყებები, მუნიციპალიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები).</p>
<p>არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი საკითხები, მათთან შეთანხმებული მოქმედებები და ასეთი ქმედებების სტატუსი.</p>
<p>კრებების ოქმები დაერთვება ექსტრეზიან ანგარიშს</p>
<p>საჯაროდ გამოქვეყნებული საპროექტო დოკუმენტების რაოდენობა და ბუნება.</p>
<p>პროექტის ვებ-გვერდის განახლებების რაოდენობა და ბუნება.</p>
<p>ვებ-გვერდზე მიღებული კომენტარების კატეგორიები და რაოდენობა</p>
<p>საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი</p>
<p>მიღებული საჩივრების რაოდენობა, მთლიანობაში და ადგილობრივ დონეზე, თბილისის სათაო ოფისებში, ვებ-გვერდზე, დაყოფილი მომჩივანის სქესის, მათი მიღების საშუალებების (ტელეფონი, ელ-ფოსტა, განხილვა) მიხედვით.</p>
<p>ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობიდან, გარეშე დაინტერესებული პირებიდან მიღებული საჩივრების რაოდენობა</p>
<p>საჩივრების რაოდენობა, რომელიც (i) გახსნილია, (ii) გახსნილია 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, (iii) გადაწყვეტილია, (iv) დახურულია, და (v) პასუხების რაოდენობა, რომელმაც დააკმაყოფილა მომჩივნები, ანგარიშგების პერიოდში, დაყოფილია მომჩივანის საჩივრის, სქესის, ასაკის და ადგილმდებარეობის მიხედვით..</p>
<p>საჩივრების გადაწყვეტის პროცესის საშუალო ვადა, დაყოფილი მომჩივნების სქესის და საჩივრების კატეგორიების მიხედვით.</p>
<p>ადგილობრივი GRC შეხვედრების რაოდენობა და ასეთი შეხვედრების შედეგები (კრებების ოქმები, რომლებიც ხელმოწერილია დამსწრე პირების მიერ, მათ შორის მომჩივნების მიერ, რომლებიც თან უნდა დაერთოს ანგარიშს).</p>
<p>დროის ტენდენციები და საჩივრების რაოდენობის, კატეგორიების და ადგილმდებარეობის შედარება წინა ანგარიშგების პერიოდებთან</p>
<p>მუშახელის საჩივრები</p>
<p>მუშახელის მიერ წარდგენილი საჩივრების რაოდენობა, დაყოფილი მუშახელის სქესის და სამუშაო ადგილის მიხედვით.</p>
<p>მუშახელის საჩივრების რაოდენობა, რომლებიც (i) გახსნილია, (ii) გახსნილია 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, (iii) გადაწყვეტილია, (iv) დახურულია, და (v) პასუხების რაოდენობა, რომელმაც დააკმაყოფილა მუშახელი, ანგარიშგების პერიოდში, დაყოფილია მომუშავეების საჩივრის, სქესის, ასაკის და სამუშაო ადგილის მიხედვით..</p>

მათი პროფილი, ვინც წარადგინა საჩივარი (სქესი, ასაკი, სამუშაო ადგილი), საჩივრების კატეგორიის მიხედვით
საჩივრების გადაწყვეტის პროცესის საშუალო ვადა, დაყოფილი მომჩივნების სქესის და საჩივრების კატეგორიების მიხედვით.
დროის ტენდენციები და საჩივრების რაოდენობის, კატეგორიების და ადგილმდებარეობის შედარება წინა ანგარიშგების პერიოდებთან

ანგარიშგება სამშენებლო ფაზის განმავლობაში სგდ-ს და ზედამხედველობის და ESIA (ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების) / RAP (განსახლების სამოქმედო გეგმის) მონიტორინგის კონსულტანტების მიერ ჩატარებული ეკოლოგიური და სოციალური ღონისძიებების შესახებ განხორციელდება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) მოთხოვნების შესაბამისად.

7.1.1. სგდ-ს კვარტალური და წლიური ანგარიშები

პროექტის განვითარების და სამშენებლო ფაზის განმავლობაში, გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი მოამზადებს მოკლე ყოველთვიურ ანგარიშებს გარემოსა და სოციალური შესრულების ეფექტურობის შესახებ სგდ-ს ხელმძღვანელობისთვის, რომელიც მოიცავს განახლებებს დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის განხორციელების შესახებ და 8-ე ცხრილში მითითებულ მაჩვენებლებს. ყოველთვიური ანგარიშები გამოიყენება კვარტალური და წლიური ანგარიშების შემუშავებისთვის, რომელიც განიხილება სგდ-ს მენეჯმენტის ზედარგოლის მიერ. კვარტალური და წლიური ანგარიშები გამოქვეყნდება სგდ-ს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ შენობებში.

7.1.2 ექსპლუატაციის E&S შესაბამისობის ანგარიშები მსოფლიო ბანკისთვის

ექსპლუატაციის E&S ანგარიშები მომზადდება და წარედგინება მსოფლიო ბანკს მშენებლობის პერიოდში. ნაწილი დაინტერესებულ პირთა ჩართულობის შესახებ შეტანილი იქნება აღნიშნულ ანგარიშებში, რომელიც მოიცავს შესწორებას/განახლებას დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის განხორციელების შესახებ და 8-ე ცხრილში მითითებულ მაჩვენებლებს.

7.2. მონიტორინგის ანგარიშები ექსპლუატაციის განმავლობაში

7.2.1 სგდ-ს წლიური ანგარიშები

ექსპლუატაციის ყოველი წლის ბოლოს, გარემოსა და სოციალურ საკითხთა ჯგუფი მოამზადებს წლიურ შემაჯამებელ ანგარიშს E&S ეფექტურობის შესახებ სგდ-ს ხელმძღვანელობისთვის, რომელიც მოიცავს შესწორებას/განახლებას დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის განხორციელების შესახებ და 8-ე ცხრილში მითითებულ მაჩვენებლებს. წლიური ანგარიშები გამოქვეყნდება პროექტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ შენობებში.

7.2.2 ექსტრემული E&S შესაბამისობის ანგარიშები მსოფლიო ბანკისთვის

ექსპლუატაციის პირველი სამი წლის განმავლობაში, ექსტრემული და წლიური E&S შესაბამისობის ანგარიშები მომზადდება და წარედგინება მსოფლიო ბანკს. წლიური E&S შესაბამისობის ანგარიშები მომზადდება და წარედგინება მსოფლიო ბანკს საექსპლუატაციო პერიოდის დანარჩენი დროის განმავლობაში. ნაწილი დაინტერესებულ პირთა ჩართულობის შესახებ შეტანილი იქნება E&S შესაბამისობის ანგარიშებში.

გარდა ამისა, სგდ მოამზადებს ინციდენტების შეტყობინებას მსოფლიო ბანკისთვის, თუ და როდესაც მოითხოვება.

7.3 დაინტერესებულ პირთა ჩართულობა მონიტორინგის ღონისძიებებში

პროექტი ითვალისწინებს რამდენიმე შესაძლებლობას დაინტერესებული პირებისთვის, კერძოდ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეებისთვის - განახორციელონ პროექტის შესრულების ეფექტურობის კონკრეტული ასპექტების მონიტორინგი და მოახდინონ უკუკავშირი.

საჩივრების გადაწყვეტის კომიტეტები ზემოქმედების ქვეშ მყოფი მუნიციპალიტეტიდან შესაძლებლობას აძლევს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებს წარადგინონ საჩივრები და მოახდინონ სხვა ტიპის უკუკავშირი. მოქალაქის / პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების გამოკითხვა, პროექტის შუა და ბოლო ეტაპებზე, ასევე შესაძლებლობას აძლევს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებს მოახდინონ უკუკავშირი პროექტის ეფექტურობასთან მიმართებაში. გარდა ამისა, ხშირი და რეგულარული შეხვედრები მოსახლეობასთან და ურთიერთკავშირი სგდ-ს პერსონალთან, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებს და სხვა ადგილობრივ დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას მოუსმინონ მათ და მიიღონ მონაწილეობა.

7.4 ანგარიშება დაინტერესებულ პირთა ჯგუფების მიმართ

სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა ჯგუფი ანგარიშს წარუდგენენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებს და სხვა ადგილობრივ დაინტერესებულ პირთა ჯგუფს, ძირითადად პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში და/ან სოფლებში გამართული საჯარო შეხვედრების მეშვეობით. კრების ოქმები გაზიარებული იქნება მომდევნო საჯარო შეხვედრების დროს. GRM-ის მეშვეობით მიღებული უკუკავშირზე, პასუხი გაიცემა წერილობითი და ზეპირი ფორმით, შესაძლებლობის ფარგლებში. მოკლე ტექსტური შეტყობინებები და სატელეფონო ზარები გამოიყენება იმ დაინტერესებული პირებისთვის პასუხის გასაცემად, რომელთა ტელეფონის ნომრებიც ხელმისაწვდომია. პროექტის ძირითადი განახლებები განთავსდება სგდ-ს ვებგვერდზე. სოციალური მედია: Facebook, ვებგვერდი, ასევე გამოიყენება სხვადასხვა დაინტერესებული პირების მიმართ ანგარიშებისთვის.

8.0 მითითებები

მსოფლიო ბანკი. 2019. *ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ჩარჩო დოკუმენტი*

მსოფლიო ბანკი. 2018a. *ESS10 ნიმუში: დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება, დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ჩარჩო დოკუმენტი*. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ჩარჩო დოკუმენტი IPF ოპერაციებისთვის. ESS10: დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება

მსოფლიო ბანკი. 2018b. *სახელმძღვანელო შენიშვნა მსესხებლებისთვის*. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ჩარჩო დოკუმენტი IPF ოპერაციებისთვის. ESS10: დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება.

შპს Eco-Spectri Consulting. საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის მეორე ლოტის (საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი-ბაკურციხე) გაუმჯობესების პროექტი. მომზადებულია სგდ-სთვის (2020);

<https://mepa.gov.ge/Ge/Files/Download/34303>;

განსახლების სამოქმედო გეგმა (15.03.2021); საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის მეორე ლოტის (საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი-ბაკურციხე) გაუმჯობესების პროექტი.

მომზადებულია შპს AECOM-ის მიერ სგდ-სთვის.

დანართი 1: ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების და მოსახლეობის ჩამონათვალი

მუნიციპალიტეტის დასახელება	სოფელი	მოსახლეობა ³
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	თოხლიაური	983
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	მანავი	2 769
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	კაკაბეთი	2 771
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	ბადიაური	1 286

³ მოსახლეობის საერთო რაოდენობა წარმოდგენილია 2014 წელს ჩატარებული ბოლო აღწერის მიხედვით.

დანართი 2: SEP-ის საჯარო განხილვების ოქმები

დანართი 3: საჩივრის წარდგენის ფორმა

საჩივრის წარდგენის ფორმა	
გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი #	
სახელი, გვარი	
საკონტაქტო ინფორმაცია გთხოვთ, მიუთითეთ უპირატესი საკომუნიკაციო საშუალება (ფოსტა, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	<input type="checkbox"/> ფოსტა: გთხოვთ, მოუთითოთ საფოსტო მისამართი: _____ _____ <input type="checkbox"/> ტელეფონი: _____ <input type="checkbox"/> ელ.ფოსტა: _____
სასურველი საკომუნიკაციო ენა	<input type="checkbox"/> ქართული <input type="checkbox"/> ინგლისური <input type="checkbox"/> რუსული
საჩივრის/მოთხოვნის აღწერა: _____ რას ეხება საჩივარი? რა არის მოთხოვნა?	
მოლაპარაკების თარიღი:	მოლაპარაკების გადაწყვეტილება :
რა არის თქვენი მოთხოვნის საფუძველი?	
ხელმოწერა: _____ თარიღი: _____	

დანართი 4. ბროშურა საჯარო საჩივრების შესახებ

საავტომობილო გზების დეპარტამენტი ცდილობს უზრუნველყოს, რომ პროექტის მშენებლობას არ მოჰყვება უარყოფითი ზემოქმედება საპროექტო არეალის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობაზე ან სხვა პოტენციურად ზემოქმედების ქვეშე მყოფ დაინტერესებულ მხარეებზე. თუმცა, რაიმე სახის საკითხის წამოჭრის შემთხვევაში, ჩვენ მზად ვართ მოვისმინოთ ნებისმიერი სახის პრობლემა ან საჩივარი ან კომენტარი ან წინადადება, რომელიც შეიძლება გქონდეთ პროექტის აქტივობებთან დაკავშირებით.

რა სახის საჩივრის შეტანა შემიძლია?

ნებისმიერ ადამიანს შეუძლია საჩივრის წარდგენა, თუ თვლის, რომ საპროექტო სამუშაოები უარყოფითად მოქმედებს მათზე, მათ თემზე ან ადგილობრივ გარემოზე. საჩივარი შეიძლება შეეხებოდეს შემდეგს და არა მხოლოდ:

- მიწის შესყიდვის პროცესის არასწორად წარმართვა (წინა-სამშენებლო ეტაპი);
- სამშენებლო სამუშაოების შედეგად გამოწვეული ხმაური (მშენებლობა);
- კერძო და საერთო აქტივებისა და ქონების დაზიანება;
- თემის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, მაგალითად, გაზრდილი საავტომობილო მოძრაობის ზემოქმედებასთან დაკავშირებით (მშენებლობა);
- პრაქტიკა, რომელიც საფრთხეს უქმნის პროექტზე დასაქმებული თანამშრომლების ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას;
- პროექტზე დასაქმებულების შრომითი უფლებების შეუსრულებლობა.

ასევე მიიღება კომენტარები და ინფორმაციის გამოთხოვნის მოთხოვნა; აღნიშნული შეიძლება დარეგისტრირდეს ისევე, როგორც საჩივრები და გაეცეს პასუხი სგდ-ს მიერ შესაძლებლობის ფარგლებში.

როგორ შემიძლია საჩივრის წარდგენა?

ნებისმიერ მსურველს შეუძლია საჩივარი წარდგენა... შემდეგი გზებით:

- ტელეფონით +995
- ელექტრონული ფოსტით @
- პირადად, თანდართული საჩივრისა და ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის შევსებით და განთავსებით შემდეგ მისამართზე: ...

ალტერნატივის სახით, პროექტის ზემოქმედების ქვეშე მყოფ თითოეულ ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, მშენებლობის ფაზაში დაიდგმება სპეციალური ყუთები საჩივრებისთვის. აღნიშნული ყუთების დაცლა და საჩივრების განხილვა მოხდება კვირაში მინიმუმ ერთხელ.

როგორ განიხილავს სგდ ჩემს საჩივარს?

სგდ გაივლის შემდეგ ნაბიჯებს თქვენი საჩივრის განსახილველად:

ნაბიჯი 1: დადასტურება: სგდ დაგიკავშირდებათ თქვენი საჩივრის და თხოვნის დასადასტურებლად შემდეგ ვადებში:

- 5-დან 21 სამუშაო დღემდე, ვადა დამოკიდებულია პრობლემის სახეობაზე;
- დაუყოვნებლივ, რომ დაადასტუროს და ჩაიწეროს სიტყვიერი საჩივარი და წერილობითი საჩივრისთვის 5-დან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

- კომენტარების დამუშავებას შეიძლება მეტი დრო დასჭირდეს და კომენტარებზე პასუხი დასრულდება 21 სამუშაო დღის განმავლობაში, ვადა დამოკიდებულია პრობლემის ტიპზე.

დადასტურება მოიცავს თქვენი საჩივრის ნომერს, იმ პირის ვინაობას სგდ-ში, რომელიც პასუხისმგებელია თქვენი საჩივრის თვალყურის დევნებაზე და მათ საკონტაქტო დეტალებს და თქვენი საჩივრის მოკვლევის დასრულების მოსალოდნელ თარიღს (საჭიროების შემთხვევაში).

ნაბიჯი 2: შესწავლა: ამის შემდეგ სგდ აწარმოებს მოკვლევას თქვენს საჩივარზე. მათ შეიძლება დასჭირდეთ თქვენთან დაკავშირება აღნიშნული შესწავლის დროს დამატებითი ინფორმაციისთვის.

ნაბიჯი 3: გადაწყვეტა: თქვენი საჩივრის შესწავლის შემდეგ, თქვენ დაგიკავშირდებიან, რომ შეგატყობინონ შედეგები და სგდ-ის მიერ შემოთავაზებული პასუხი. თუ შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საჩივარი არ არის დაკავშირებული საპროექტო სამუშაოებთან ან რომ სგდ მუშაობს საჩივართან დაკავშირებით შესაბამისი ქართული და საერთაშორისო სტანდარტების ფარგლებში, ჩვენ ამას წერილობით აგიხსნით.

ნაბიჯი 4: შემდგომი ქმედებები: სგდ შეიძლება დაგიკავშირდეთ მოგვიანებით ეტაპზე, რათა შეამოწმოს, რომ ჩვენი საქმიანობა არ გიქმნით დამატებით პრობლემებს.

კონფიდენციალურობა: თუ გსურთ, რომ თქვენი საჩივარი კონფიდენციალური დარჩეს, სგდ უზრუნველყოფს, რომ თქვენი სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია არ იყოს გამჟღავნებული თქვენი თანხმობის გარეშე და მხოლოდ სგდ-ს გუნდისთვის იქნება ცნობილი, რომელიც უშუალოდ მუშაობს თქვენი საჩივრის შესწავლაზე. თუ გუნდს არ შეუძლია სრულად შეისწავლოს საჩივარი თქვენი ვინაობის ან თქვენი საჩივრის შინაარსის გამჟღავნების გარეშე, თქვენ შეგატყობინებთ ამის შესახებ.

დანართი 5. SEP -ის სავარაუდო ბიუჯეტი

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობები	რაოდენობა	ერთ. ფასი (აშშ დოლარი)	დრო/წელი	ღირებულება სულ (USD)	შენიშვნა
თანამშრომლების ხელფასები (ერთი პროექტის მენეჯერი @\$ 650 თვეში)	1	\$ 6,000	4	\$ 24,000	დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან
სოციალური მედიის თანამშრომლები/კონსულტანტი (6 თვე/წელი @\$1000 თვეში)	1	\$ 6,000	4	\$ 24,000	დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან
პერსონალის სამივლინებო ხარჯები (ხარჯი წლიურად)		\$ 2,000	4	\$ 8,000	დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან
საინფორმაციო დაფა (თითოეულ მუნიციპალიტეტში ერთი)	4	\$ 200	1	\$ 800	
პროექტის დაწყების შეხვედრები (გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ოთხი სოფელი)	4	\$ 2,500	1	\$ 10,000	ფართის დაქირავება, კვება, დაბეჭდილი მასალები
შეხვედრები თემთან/ცნობიერების ამაღლება (4 სოფელში, კვარტალურად)	16	\$ 100	4	\$ 6,400	მათ შორის შეხვედრები ეთნიკურ უმცირესობასთან და ქალებთან
შეხვედრები მუნიციპალიტეტში/ცნობიერების ამაღლება (ყოველთვიურად)	12	\$ 100	4	\$ 4,800	
საკომუნიკაციო მასალები (პროშურები, პოსტერები, პროექტის ჩათვლით)				\$ 1,000	10 სხვადასხვა თემა - გენდერული საკითხები, გარემოსდაცვითი ჩარჩო-დოკუმენტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა/უსაფრთხოება, მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, გარემოს დაცვა, მიწების შესყიდვა, კონტრაქტორის ზარალი და ა.შ.

საპროექტო ტურები მედიისთვის, ადგილობრივი წარმომადგენლებისთვის (წელიწადში ერთხელ), არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის	1	\$ 1,000	2	\$ 2,000	მაქსიმუმ 11 წარმომადგენელი ერთ ტურში
სერვისის მიმწოდებლების, სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყებების ჩართულობა (მაგ. გენდერული ძალადობის, გარემოსდაცვით საკითხები)		\$ 10,000	4	\$ 40,000	
ტრენინგი გარემოსდაცვით/სოციალურ საკითხებზე დეპარტამენტის, ზედამხედველობის და კონტრაქტორის/კონსულტანტის პერსონალისთვის		\$ 1,000	4	\$ 4,000	
დეპარტამენტის და კონტრაქტორის/ინჟინრის/კონსულტანტის შესაბამისი პერსონალისთვის ტრენინგები გენდერულ საკითხებზე	2	\$ 500	2	\$ 2,000	
მოქალაქეების/პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების აღწერა/კვლევა		\$ 2,500	2	\$ 5,000	
გაუთვალისწინებელი (10%)				\$ 13,200	
სულ-დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა				\$ 145,200	
საჩივრების მოგვარების ღონისძიებები	რაოდენობა	ერთ. ფასი (აშშ დოლარი)	დრო/წელი	ღირებულება სულ (USD)	შენიშვნა
საკომუნიკაციო მასალები (საჩივრების განხილვის მექანიზმთან დაკავშირებული ბროშურები, პოსტერები)	1200	\$ 0.5	2	\$ 1,200	

GRM სახელმძღვანელო	100	\$ 10	1	\$ 1,000	
ყუთები წინადადებებისთვის (ყველა მუნიციპალიტეტში და სოფელში)	10	\$ 50	1	\$ 500	
GRM კომიტეტის ტრენინგი მუნიციპალიტეტის დონეზე	4	\$ 100	4	\$ 1,600	ერთი ტრენინგი/წელიწადში თითოეულ მუნიციპალიტეტში
შიდა GRM ტრენინგი დეპარტამენტის, ზედამხედველობის და კონტრაქტორის პერსონალისთვის	1	\$ 500	4	\$ 2,000	დეპარტამენტის პერსონალისა და სხვებისთვის ერთი ტრენინგი წელიწადში
გაუთვალისწინებელი (10%)				\$ 630	
სულ - საჩივრების მოგვარება				\$ 6,930	
ჯამი				\$ 152,130	